სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 მაისი 2004 №100 (2119) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუ დეკორატივ 1:0

REUTERS ლეო კოინუბიიდან





ბაბილი კეთილაძის ფოტოები

ივო შუშაკი საქართველოს ქართულად დამეშვიდობა... ამ პატარა ჭიქით და დიდი გრძნობით

უშუშაკო დინამოს ეს დღეს ეგ არის და გორის ციხე ელის

სათასო ნახევარფინალის თბილისურ მატჩში „დილამ" ერთზე მეტი არ გაუშვა და საფინალო იმედიც დაიტოვა

ფოტო ალექსანდრე ბერიძისა

ირაკლი ლაბაძე რომში არდადეგებს არ აპირებს

ერთი კვირით სამშობლოში შემოვლილი და ტრავმადაამებული ირაკლი ლაბაძე ხალისშემატებული ჩავიდა რომში და იქაურ ორნახევარმილიონიან მასტერსტურნირში მხნედ ჩაება. ლაბაძე ჯერჯერობით ყოჩაღად მიაბიჯებს მარადიული ქალაქის მიწაზე და პირველ წრეში ლამის ჩოგნის ერთი გაქნევით შემოემარცხა გამოცდილი მეთიხნარე და ამ უქმეებზე ბარსელონის ტურნირის ფინალში გამოვლილი გასტონ გაუდიო. არგენტინელის 6:3, 6:2 დაჩოგვნის შემდეგ ლაბაძე კიდევ უფრო ჩოგანმარჯვე სამხრეთამერიკელზე, ჩილელ ნიკოლას მასუზე გავიდა, რომელიც რომში მე-12 ნომრადაა განთესილი და, ცხადია, დანებებას არ აპირებს.

„რომ ვთქვა, მოვუგებ-მეთქი, ვიცი, აუცილებლად წავაგებ" — გვეუბნება რომიდან ლაბაძე. ჩანს, მშვენიერ გუნებაზეა და ბრძოლისთვისაც განწყობილა.

მასთან ნამატჩევ ბლიც-ინტერვიუს და სხვა რომაულ ამბებს კი მე-14 გვერდზე წაიკითხავთ.

ირურეტა ფინალში და სალოცავად არ გაუშვეს

REUTERS ლა კორუნიიდან

დერლეიმ „პორტუ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეასრიალა

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. გუუნ

დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) 0:1 **პორტუ** (პორტუგალია) (0:0)
0:1 დერლეი სილვა (60პ)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, ნაიბეტი, რომერო, სერხიო (ტრისტანი 67), დუშერი, ვიქტორი (სკალონი 55), ვალერონი, ლუკე (ფრანი 72), პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში (ბოსინგვა 88), კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, დერლეი სილვა (მაკკარტი 90), კარლოს ალბერტო (პედრუ ემანუელი 68)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ნაიბეტი (11), კარლოს ალბერტო (34), ნაიბეტი (70), მენდეში (80), ტრისტანი (90)
გაძევება: ნაიბეტი (70)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
34 000 მაყურებელი

მოკლედ ასე შეიძლება ითქვას: „პორტუმ“ ზედიზედ მეორედ მიაღწია ევროთასის ფინალს — შარშან ჟოზე მაურინიუ და მისი გუნდი უეფას თასის ფინალში გახლდნენ, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში არიან. ლა კორუნიაში, „რიასორზე“ „პორტუმ“ „დეპორტივოს“ აჯობა. მართალია, შეხვედრის ერთადერთი გოლი პენალტით გავიდა, მაგრამ ამით პორტუგალიელთა გამარჯვება არ შელახულა, პირიქით, სიმბოლურია, რომ თერთმეტმეტრიანი უბადლოდ მოთამაშე დეკოს წაქცევის გამო დაინიშნა. გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის გარღვევა საჯარიმოს კიდესთან სესარმა შეაჩერა სარმით, რის გამოც პიერლიუჯი კოლინამ უყუყმანოდ მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ. პენალტი დერლეიმ დაარტყა. აღსანიშნავია, რომ დერლეიმ მანამდე, მეორე ტაიმის მეორე წუთზე, ძელსაც გაარტყა ბურთი. შეხვედრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ 70-ე წუთზე, როდესაც პაულუ ფერეირას წაქცევისთვის დეპორტივოელი ნაიბეტი მეორე ყვითელი ბარათით დასაჯეს და, შესაბამისად, მოედნიდან გააძევეს. ამ დროს ანგარიში უკვე ათი წუთის გახსნილი იყო, ხოლო ჩამორჩენილი გუნდისთვის უმცირესობაში დასარჩენად და ასე თამაშის ბედის მოსატრიალებლად მეტისმეტად ბევრი, 20 წუთი რჩებოდა.



პორტუელი დეკო სესარმა ლამის დაახრჩო

მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგის ცხრა შეხვედრაში დაუმარცხებელმა „პორტუმ“ კიდევ ერთხელ, ამჯერად ესპანურ თავსხმაში გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში თავისი ათი დღით ადრე გაინაღდა, პორტუგალიის ჩემპიონი გახდა. ასე რომ, ევროპის ყველაზე პერსპექტიულ და პოპულარულ მწვრთნელად შერაცხულ ჟოზე მაურინუს „რიასორზე“ გამარჯვებისთვის ძალიან საფუძვლიანად მომზადების საშუალება ჰქონდა.

და უნდა აღინიშნოს, რომ მაურინიუმ ეს ჩინებულად შეძლო. მისი და თანამედროვე ევროპის სხვა მეტად კვალიფიცირებული მწვრთნელის, ხავიერ ირურეტას დუელი ამჯერად მაურინიუს პირწმინდა გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის პირველი ტაიმი, კაცმა რომ თქვას, ისევე, როგორც ორი კვირის წინანდელი თამაში, საკმაოდ ფრთხილი და სეირის თვალსაზრისით მოსაწყენიც კი გახლდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ მეტოქეები გამოცოცხლდნენ, ხოლო გამოცოცხლებულთა შორის, როგორც მოგახსენეთ, უპირატესობა სტუმრებისა იყო.

„პორტუმ“ თამაში ჩვეულ მაღალ ტემპში დაიწყო და მასპინძლებს პრესინგის მარწუხები მოუჭირა. მე-14 წუთზე დერლეიმ წამოიწყო შეტევა, რომელიც მანიშეს სახიფათო, მაგრამ, როგორც გაირკვა, უზუსტო დარტყმით დასრულდა, თუმცა 28-ე წუთზე (მთელი 14 წუთიანი მდუმარების შემდეგ) მომენტი უკვე აქეთა კართან შეიქმნა: ხუან კარლოს ვალერონმა, რომელმაც მერვედფინალსა და მეოთხედფინალში „იუვენტუსს“ და „მილანს“ შავი დღე აყარა, ვალტერ პანდიანს ჩინებულად მიაწოდა, პანდიანიმ კი ააცილა — აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისთვის თანამსაჯს ალამიც ჰქონდა აღმართული.



REUTERS ლა კორუნიიდან

ვიტორ ბაიასთვის ევროფინალში თამაში უცხო არ არის

მეორე ტაიმის ამბები ნაწილობრივ თავშივე მოგახსენეთ. ვახსენეთ ის მომენტი, როდესაც დერლეიმ ძელს გაარტყა და მოვყევით პენალტის ამბავი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირურეტას გუნდმა ყველა ღონე იხმარა, რათა ძალები შეტევაში გადაესროლა, მაგრამ პანდიანიმ ალბერტო ლუკეს პასით თავური ააცილა და შემდეგ, როგორც გითხარით, კოლინამ ნაიბეტი გააძევა.

მატჩის მიწურულს ირურეტამ დამატებით ძალად დიეგო ტრისტანი შეიყვანა მოედანზე, მაგრამ „დეპორტივოს“ ამ საღამოს გამარჯვება არ ეწერა და... აღარც უწერია 80 კილომეტრის მუხლისჩოქვით გავლა. მწვრთნელს ხომ ჩათქმული ჰქონდა, რომ ლიგაში გამარჯების შემთხვევაში საქვეყნოდ ცნობილ ტაძარ სანტიაგო დე კომპოსტელამდე, სწორედ ასე მოილოცებდა გზას ლა კორუნიიდან.

პაპუნა კედია

თბილისი ნაკრებს შეუსახლდება?

ერთი უცნაური ამბავი: საქართველოს ნაკრების საწვრთნელი ბაზა, რომელიც ფიფას ფულით აშენდა, ფეხბურთის ფედერაციამ შესაძლოა საფეხბურთო კლუბ „თბილისს“ გადასცეს. წინა კვირაში ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციაში კი ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაშინ ბევრი ისეთი საკითხი იყო გაურკვეველი, რაც ბოლო ორ-სამ დღეში გაირკვა.

ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, ფედერაცია ბაზას „თბილისს“ რა ფორმით გადასცემს. იჯარა იქნება თუ სხვა სახის გარიგება, ამას, ალბათ, ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე იტყვიან, სხდომა კი, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს უნდა გაიმართოს.

კოტა ინასარიძე



გუშინ ბაზაზე ფიფა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
პორტსმუთი 1:1 არსენალი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
სტოკი 4:1 ვესტ ბრომვიჩი
სანდერლენდი 1:0 ნორვიჩი

ავსტრია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბლაიბერგი 0:1 ლინცერი

მემფისის თასი. 1/2 ფინალი
გრაცერი 3:2 რიდი

შვედეთი

ალსვენსკა. V ტური
იორგრიტე 1:2 გიოტებორგი

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

ერთგული ბიბლიოთეკა



კლაუდიო რანიერი

ჩელსი — მონაკო

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). პირველი მატჩი 1:3

ძირითადი კონგოური ინსტინქტი

პომპიუტერული თამაში მონაკოსთვის



დიდიე დეშანი

დღევანდელ მეტოქეებს ჩემპიონთა თასის ფინალში არასოდეს უთამაშიათ და ორივესთვის ეს განსაკუთრებული მატჩია — ორრაუნდიან ბრძოლაში გმარჯვებული საკლუბო ისტორიის ახალ ფურცელს გადაშლის.

მეოთხედფინალიდან „არსენალის"გაძევების შემდეგ „ჩელსის" პრემიერლიგაში ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა. გუნდმა ზედიზედ რამდენიმე მატჩი ვერ მოიგო, შემდეგ სტუმრად ათკაცა „მონაკოსთანაც" დამარცხდა, თან ყოველივე ამას აბრამოვიჩისა და რანიერის კულისებსმიღმა დაუსრულებელი ქიშპობა ახლდა.

„ჩელსიმ" გამარჯვების გემო გასულ უქმეებზე „სათჰემპტონთან" მოგებით გაიხსენა. „არისტოკრატებმა" უმოტივაციო მეტოქეს 4:0 სძლიეს და სადღეისოდ გუნება გამოიკეთეს.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი საშინაო მატჩი ლონდონელებმა ვერ მოიგეს, სტუმრად კი გამორჩეულად კარგად თამაშობდნენ, სანამ მონაკოში შერცხვებოდნენ.

კლაუდიო რანიერიმ დეშანის გუნდთან წაგების შემდეგ აღიარა, ჩემი შეცდომების გამო ჯავმარცხდითო. იტალიელმა მოედანზე სამი ფორვარდი დატოვა, რადგან კაცნაკლული მეტოქის მოხრჩობა სურდა, მაგრამ იაღლიში მოუვიდა.

ამჯერად რანიერის ნაღდად სჭირდება სამი თავდამსხმელი საიმისოდ, რომ ფრანგულ გუნდთან ორბურთიანი სხვაობა აღმოფხვრას.

მასპინძლებს მარსელ დესაი და კლოდ მაკელელე დისკვალიფიცირებული ჰყავთ. დესაის მორიენტესის იდაყვით ცემისთვის აჰკიდეს სასჯელი. „ჩელსიმ" გაასაჩივრა, მაგრამ ამაოდ.

დასჯილი ფრანგის ადგილს დაცვის ცენტრში უილიამ გალასი ჯონ ტერისთან ერთად დაიკავებს. მათ ფლანგებიდან გლენ ჯონსონი და უეინ ბრიჯი დაეხმარებიან.

„საუთჰემპტონთან" მატჩში კლაუდიო რანიერიმ ნახევარდაცვის ცენტრში ფრენკ ლამპარდი და ჯერემი ათამაშა, ეს წყვილი სავარაუდოდ, დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ფრენკ ლამპარდი

ტრავმირებული დაფის ადგილს მარცხენა ფლანგზე ჯო კოულს ანდობენ, მარჯვნივ კი გრონკიაერი იქნება. ზოგიერთი თანაგუნდელისგან მოძულებული ადრიან მუტუ დაშავებულია. შეტევაში ეიდურ გუდიონსენი და ერნან კრესპო ითამაშებენ, რომლებიც ამ სეზონში გოლებით ვერ გამოირჩევიან. კლაუდიო რანიერის უფრო ფრენკ ლამპარდის ეიმედება, რომელმაც „საუთჰემპტონთან" დუბლი შეასრულა.

„ჩვენ ფინალში გასვლის შანსი გვაქვს — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა — სეზონში საუკეთესო მატჩი უნდა ვაჩვენოთ. ეგებ „მონაკოც" ვერ იყოს სათანადო ფორმაში და სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ყველაფერი შესაძლებელია".

ფრენკ ლამპარდი: „საუთჰემპტონს" ოთხი გოლი გავუტანეთ და ხომ შეიძლება, იგივე „მონაკოსთან" გავიმეოროთ. ჩვენ „არსენალთან" თითქმის წაგებული მატჩი შემოვაბრუნეთ და თუ ისე ვიბრძოლებთ, როგორც „ჰაიბერიზე", ფინალში გავალთ".

საჰარაუდო შემადგენლობები

ჩელსი

კუდიჩინი, ჯონსონი (ან მელხიოტი), გალასი (ან ჰათი), ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, ჯერემი (ან პარკერი), ლამპარდი, კოული, გუდიონსენი, კრესპო

მონაკო

რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, სისე, პლასილი, ჟიული, მორიენტესი, ნონდა (ან პრსო)

დისკვალიფიცირებულნი:

ჩელსი: მარსელ დესაი (2 მატჩი), კლოდ მაკელელე (1 მატჩი)

მონაკო: ანდრეას ზიკოსი (1 მატჩი)

დადო პრსო

დიდიე დეშანს ბოლო ტურში „ნიცასთან" გამარჯვების შემდეგ სამი ფეხბურთელი დაუშავდა: მარცხენაფლანგელი ჟერომ როტენი, რომელის არყოფნაც დღეს გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება, მცველი სებასტიან სკილაჩი და დადო პრსო. როტენისა და სკილარის თამაში „ჩელსისთან" თითქმის გამორიცხულია, ხოლო ხორვატი ფორვარდი ასე ბჭობს: „ყველაფერს ვიღონებ საიმისოდ, რომ „სტეფორდ ბრიჯზე" გავიდე, თუნდაც რისკის ფასად, რადგან ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანეს მატჩად მიმაჩნია."

პრსო თუ ვერ მომჯობინდა, მის ნაცვლად დიდმეგოლე შაბანი ნინდა ითამაშებს. „მონაკოს" კონგოელმა ლეგიონერმა ორი კვირის წინ ლონდონელებს გაუტანა, მაგრამ ფიქრობს, რომ შვიდთვიანი ტრავმის შემდეგ ჯერ სათანადო ფორმაში არაა: „ავადმყოფობის დროს მეგოლის ინსტინქტი არ დამიკარგავს. სწორედ ამის წყალობით გავუტანე „ჩელსის". კარის წინ ბურთით თუ აღმოვჩნდი, ყველაფერს ავტომატურად ვაკეთებ, მაგრამ ჯერ 90 წუთით საბრძოლველად სრულად მზად არ ვარ. ჩვენი გულშემატკივრები ამბობენ, რომ ფინალში გასასვლელად ორბურთიანი სხვაობაა საკმარისი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ლონდონში ისეთი ომი გველის, რომლის მსგავსიც არასოდეს გადაგვიტანია. თითქმის დაუჯერებელია ჩემთვის, მაგრამ ფინალში გაღწევის შანსი გვაქვს, ხოლო ჩემპიონთა თასის აღებას რაც შეეხება, აქამდე მეგონა, რომ „მონაკოსთვის" ეს მხოლოდ კომპიუტერულ თამაშში იყო შესაძლებელი".

ლუდოვიკ ჟიული: „ნიცასთან" მოგებამ რწმენა შეგვმატა და ლონდონში კარგ ხასიათზე ჩავალთ. აქამდე საგანგებოდ მხოლოდ ერთი მატჩისთვის, მადრიდის „რეალის" დასახვედრად მოვემზადეთ, მაგრამ ამჯერად საგანგებო მზადება არ გვჭირდება, რადგან ჩვენ ვიცით, რაც უნდა ვაკეთოთ".

ვაჟა ხუციშვილი

მეზღაპრე ანრი და ნონდას ინგლისური მომავალი

ლუდოვიკ ჟიული

მონაკოს „პატარა უფლისწულ" ლუდოვიკ ჟიულის ტიერი ანრი თურმე ლონდონზე და თავის გუნდზე ნაირ-ნაირ ამბებს უყვება. დიდიე დეშანის ჯილაც გამოტყდა, რომ „არსენალი" მისი საოცნებო გუნდია. „მეთოფეობაზე" ყოველთვის ვოცნებობდი. გადაჭედილ „ჰაიბერიზე" თამაშს ვერაფერი შეედრება. როცა ფეხბურთელები სანაკრებო მატჩისთვის შევიყრებით, ანრი ლონდონზე, იქაურ გარემოსა და „არსენალის" ქომაგებზე ძალიან საინტერესოდ მიამბობს. მგონი, არსენ ვენგერს ჩემი გადაბირება განუზრახავს და მეც არ ვიქნები წინააღმდეგი. „მონაკოს" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ინგლისში სათამაშოდ უკვე მზად ვერ".

ლუდოვიკ ჟიულის კონტრაქტი კლუბთან მომდევნო სეზონის ბოლოს იწურება, თავად „უფლისწულს" კი გული ლონდონისკენ მიუწევს. თუ მონაკოელები ამ ზაფხულს მას სარფიანად არ გაასხვისებენ, ერთი წლის შემდეგ როგორც თავისუფალი აგენტს, მუქთად დაკარგავენ.

ინგლისისკენ იქაჩება შაბანი ნონდაც. კონგოელი ფორვარდის თქმით, ოთხი-ხუთი პრემიერლიგური გუნდი უკვე დაუკავშირდა მის აგენტს.

„მონაკოს" შარშანაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიუხედავად გამორიცხული არაა, იგივე განმეორდეს. კლუბის მეპატრონემ უნდა მოგვცეს გარანტია, რომ ფინანსური კრიზისი არ გველის. ასეთი გარანტიის შემთხვევაში იქნებ ერთი სეზონი კიდევ გავჩერდე აქ, მაგრამ დეშანს ფეხბურთელები თუ შემოაცალეს და ახალი გუნდის აწყობა სთხოვეს, აუცილებლად წავალ. მით უმეტეს, რომ პრემიერლიგიდან რამდენიმე კარგი წინადადება მივიღე. მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი" და „არსენალი" არ მეპატიჟებიან, მაგრამ დანარჩენები საკმაოდ კარგ პირობებს მთავაზობენ" — თქვა შაბანი ნონდამ.

ვაჟა ხუციშვილი

შაბანი ნონდამ ინგლისში თამაშის სურვილი გაამხილა

ინძაგის საიმედო ტრავმა

ტრაპატონიმ ჯილარდინოს ახალგაზრდობა დაუწუნა

ფილიპო ინძაგის იმედი აქვს, რომ ბოლო ტრავმა ევროპის ჩემპიონატზე თავის გამოჩენაში ხელს შეუწყობს. თავდამსხმელმა ახლახან კოჭის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ მიუხედავად ამისა დარწმუნებულია, რომ ზაფხულში პორტუგალიის სტადიონებზე ითამაშებს.

„ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ, სხვებზე დასვენებული გამოვჩნდები — თქვა „სკუადრა აძურას“ ფორვარდმა — მაგრამ მანამდე ძალიან მნიშვნელოვანია ჯოვანი ტრაპატონის დარწმუნება იმაში, რომ ჩემი პორტუგალიაში წაყვანა შეიძლება. ტრაპმა ოპერაციის დღეს დამირეკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი მდგომარეობა მისთვის სულერთი არ არის. მოკლედ, ამ თვის ბოლომდე ფიზიკურად მზად უნდა ვიყო“.

მიმდინარე სეზონი ინძაგის ტრავმამ მართლაც ჩაუმწარა, თუმცა მან მაინც შეძლო სანაკრებო შეხვედრებში გადამწყვეტი გოლების გატანა. კერძოდ, ეს უელსთან და სერბეთთან მოახერხა. ყოველივე ამის და ბუნებრივია, ზოგადი სიმპათიის გამო ჯოვანი ტრაპატონიც ძალიან მოწადინებულია, რათა მილანელი პორტუგალიაში იახლოს. და მაინც, თუ ინძაგის წაყვანა არ მოხერხდება, სავარაუდოდ, მისთვის განკუთვნილ ადგილს იუვენტუსელი მარკო დი ვაიო დაიკავებს.

ერთი კი გაირკვა, ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს პარმელი ალბერტო ჯილარდინო. ახალგაზრდა ფორვარდს მიმდინარე ჩემპიონატში 19 გოლი აქვს გატანილი, რაც დიდებული შედეგია, მაგრამ ჯოვანი ტრაპატონის რწმენით ევროპის პირველობა მისთვის მეტისმეტად ნაადრევია.

„ჯირალდინო ბრწყინვალე ტექნიკის მქონე ახალგაზრდაა, მან თავისი ოსტატობა უკვე ნაკრების შემადგენლობაშიც გამოამჟღავნა, მაგრამ ვფიქრობ, მისი დრო ამ ზაფხულის მერე დადგება. ჯირალდინო ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და გამოცდილების გარკვეული ულუფა სჭირდება საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის დონის შეჯიბრებაში სრულყოფილად ითამაშოს“ — განუცხადა „სკუადრა აძურას“ თავკაცმა გერმანულ ჟურნალ „კიკერს“, რომელმაც შემდეგ ვეტერან პაოლო მალდინიზე ჩამოაგდო სიტყვა.

„პაოლო საგანგებო ფეხბურთელია — მიუგო მწვრთნელმა — ის დიდი პიროვნებაა და პლუს, მალდინისა და ალესანდრო ნესტას წყვილზე უკეთესი არ მეგულება“.

ერთი სიტყვით, ტრაპატონი იმედოვნებს, რომ მალდინიმ შესაძლოა, ჯერ კიდევ გადათქვას და ნაკრებში დაბრუნდეს. ხოლო, რაც შეეხება



ჯოვანი ტრაპატონი



ფილიპო ინძაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მომავალს, ტრაპმა ბრძანა:

„რამდენიმე წინადადება მივიღე. ერთი-ორი კონტრაქტის გაფორმება აქამდეც შემეძლო, მაგრამ მსურს ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე დავიცადო. მე გარემოებებზე დამოკიდებული არ უნდა ვიყო“.

პაპუნა კედია

ალბერტო ძაკერონი და კრისტიან ვიერი ერთმანეთთან ისევ უბრად არიან

ვიერი ავტობუსში

ძაკერონის ექვსწუთიანმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა

გასულმა კვირამ ანუ იტალიის ჩემპიონატის 32-ე ტურმა კრისტიან ვიერისა და ალბერტო ძაკერონის ახალი კონფლიქტი ვერ მოიტანა. სხვა საქმეა, რომ ამ კონფლიქტს ყველა ელოდა.

თავად განსაჯეთ, მიმდინარე სეზონში „ინტერის“ მწვრთნელს და თავდამსხმელს ორჯერ მოუვიდათ უსიამოვნება და ორივეჯერ ერთი და იმავე მიზეზის გამო — მწვრთნელმა თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშა. და აი, კვირას, „ლეჩესთან“ 1:2 წაგებულ შეხვედრაში ივივე განმეორდა, ვიერისთვის სასტარტოში ვერ მოიძებნა ადგილი. ივი ძაკერონიმ მოედანზე მხოლოდ საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე შეუშვა.

„ექვსი წუთის თამაში სკამზე ჯდომას სჯობს“ — უთხრა მოედნიდან გასვლისას ვიერიმ სახელმწიფო ტელეკომპანია „რის“ ჟურნალისტს, მაგრამ მეორე შეკითხვას აღარ დაელოდა, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში შევიდა.

ამბობენ, ვიერი სასტარტო შემადგენლობის მიღმა კიდევ ერთხელ დარჩენით იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ სტადიონთან მისული ავტობუსიდან არ ჩადიოდა, მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრეღა ჩამოდგა ფეხი.

ალბერტო ძაკერონიმ ხმები ხელახალი კონფლიქტის შესახებ იმთავითვე უარყო. მან ბრძანა:

„მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა და მოედანზე ბოლოს შეშვება ტაქტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული. სხვა მიზეზი არ ყოფილა“.

შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინ, როდესაც ვიერიმ შეიტყო, რომ სათადარიგოთა სკამზე უპირებდნენ დასმას, სტადიონზე წასვლა საერთოდ იუარა. სტადიონზე ტყუილად ჯდომას სჯობს საწვრთნელ ცენტრში დავრჩე და ვირბინოო. ამჯერად კი როგორც ხედავთ, ივი სტადიონზეც იყო და არც საქმეში ბოლოს ჩართვა უთაკილია.

„ახალი კონფლიქტი მართლაც არ ყოფილა — განაცხადა თამაშის მეორე დღეს „ინტერის“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ — საერთოდაც, ვიერის პრობლემა „ბოლონიასთან“ მატჩის შემდეგ მოგვარდა, დღეს კი ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ვიერიმ იცოდა, რომ მისი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და თამაშში ბოლოს შესვლა მწვრთნელს ტაქტიკური მოსაზრებებით სჭირდებოდა“.

სხვა საქმეა, რომ ალბერტო ძაკერონის ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა.

და კიდევ, საკითხავი ის არის, ამ ორი, ერთმანეთს გადაკიდებული ადამიანიდან რომელი იქნება „ინტერის“ წევრი. შესაძლოა, არც ერთი.

ჯაჩინტო ფაკეტიმ კი განაგრძო: „ჩვენთვის სეზონის მეოთხე ადგილზე დასრულება ჯერაც შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება მალე მივხვდეთ, რატომ დავმარცხდით „ლეჩესთან“. „ინტერს“ როგორც ტექნიკურად, ასევე მენტალურად აქვს სრული შესაძლებლობა მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი. ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება“.

პაპუნა კედია

დომინიკ ანტონიონიმ 32-ე ტურის მიხედვით გმირებისა და ანტიგმირების მისეული ვარიანტი კი ჩამოწერა, მაგრამ დაგვეთანხმებით, ცოტა უცნაურად. კერძოდ:

მზვერავი, გრიპიანი, დაკარგული და ნერვიული

ალბერტო ძაკერონი (ინტერი) — ძაკის საქმე ისე ცუდადაა, როიმ სარკაზმის ინტერესებიდან გამომდინარე მთავარ გმირად მას მოვიხსენიებთ. ამ ტურის წინ მან თქვა, რომ „ლეჩეს“ დამარცხება ძნელი საქმეა და... კრისტიან ვიერი სათადარიგოთა სკამზე დასვა. სტადიონზე ხუმრობდნენ, ძაკმა ვიერი მეოთხე მსაჯის გვერდით იმიტომ დასვა, როიმ მას ადრევე დაეზვერა, რამდენ წუთს დაამატებენ მატჩის ბოლოსო კარგად, ძაკ.

ლუკა მარკეჯანი (კიევი) — ოცდამეთორმეტე ტური მარკეჯანისთვის იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ვეტერანმა ზედიზედ მეხუთე პენალტი მოიგერია. იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ძალიან სერიოზული ძალაა, რომელიც თავის გუნდს ჩავარდნის საშუალებას აშკარად არ აძლევს.

ხავიერ ჩევანტონი (ლეჩე) — გრიპიანმა ითამაშა, მაგრამ „ინტერის“ ჩამოცვენილი ვარსკვლავების დასაფრენად მაინც ეყო ძალა. მომენტებში ის „შავ-ლურჯებს“ დასცინოდა, ხოლო როდესაც საჯარიმო დარტყმით ბურთი ძელს გაარტყა, აშკარად არ გაუმართლა.

ემერსონი (რომა) — „მილანის“ წინააღმდეგ კაპიკის ფასი არაფერი გაუკეთებია. დაღლილი ჩანდა და ერთი იდეა ვერ შესთავაზა თანაგუნდელებს. საერთოდ, ასეთი რამ ხდება ხოლმე, ამაში გასაგიჟებელი არაფერია, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ემერსონის დონის ფეხბურთელი ვალდებულია ძლიერად ითამაშოს.

ვენსან კანდელა (რომა) — რომაელთა ნახევარდაცვაში ის სრულიად დაკარგული ჩანდა. მისი ამოცანა რინო გატუზოსა და მარკოს კაფუზე მიწოლა იყო, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანდა, რომ უჩვეულო პოზიციაზე თავად არ იცოდა, რას აკეთებდა.

ანტონიო კასანო (რომა) — კასანო ნერვიულობდა და სულ ეგ იყო. კარში არ არტყამდა, დრიბლინგს ერთხელ ვერ მოაბა თავი და იოლი სამეურვეოც ბრძანდებოდა. ზოგადად, „რომას“ მისი თამაშით ნამდვილად შეეძლო ეხეირა, მაგრამ არა ასეთი ანონიმური თამაშით.

პაპუნა კედია

ხავიერ ჩევანტონი (მარჯვნივ) ტურის გმირად შერაცხეს

სადაც პრანდელი, იქ მუტუც

მარჩელო ლიპის წასვლის მერე „იუვენტუსი“, მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელის ძიებაშია. შალიმალ ახსენებენ „მონაკოს“ მწვრთნელ დიდიე დეშანს და „კიევოს“ თავკაც ჯიჯი დელ ნერის, თუმცა უფრო ხშირად და დაჟინებით პარმელ ჩეზარე პრანდელიზე ლაპარაკს მოჰკრავთ ყურს.

„იუვენტუსში“ კი ჯერჯერობით გადაჭრით არაფერს ამბობენ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია. პრანდელის კანდიდატურას განვიხილავთ, მაგრამ სხვა ვარიანტებიც არის და ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ“.

ამასობაში კი იმასაც ამბობენ, „იუვენტუსს“ ჩეზარე პრანდელი თუ გაწვრთნის, „ჩელსის“ რუმინელი ადრიან მუტუ მომდევნო სეზონიდან ტურინულ კლუბში ითამაშებსო.

შეგახსენებთ, რომ მუტუ პრანდელის „პარმას“ ფეხბურთელი იყო და შეიძლება ითქვას, რუმინელი სწორედ „პარმაში“, პრანდელის ხელში იქცა ვარსკვლავად.

წინა ზაფხულს რომან აბრამოვიჩმა მუტუში 17 მილიონი გირვანქა გადაიხადა და ფეხბურთელიც თითქოს კარგად შეეწყო ახალ გუნდს. მაგრამ გავიდა დრო და მისი სტემფორდბრიჯული კარიერა დაღმა დაეშვა, რამაც ხმები დაარხია, მუტუ იტალიაში დაბრუნდებაო.

ამ ხმებს საფუძველს ისიც უმაგრებს, რომ „ჩელსის“ დავიდ ტრეზეგესა და პაველ ნედვედის ხელში ჩაგდება სურს, ისინი კი, მოგეხსენებათ, „იუვენტუსის“ ფეხბურთელები არიან.

ირაკლი ნინიძე

შირერის არჩევანი

თანამედროვეობის უდიდესი ფორვარდები რომ ჩამოვთვალოთ, მათ შორის უეჭველად მოხვდება ალან შირერი. 34 წლის ფეხბურთელს პრემიერლიგაში დღემდე ბადალი არ ჰყავს. ალან შირერი წლების მანძილზე ინგლისის ნაკრების კაპიტანიც იყო.

მაგრამ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამ დიდ ფეხბურთელს ხანგრძლივ კარიერაში თითქმის არაფერი მოუგია. მისი ერთადერთი დიდი წარმატება 1995 წელს „ბლექბერნში“ თამაშისას მოგებული პრემიერლიგის ჩემპიონობაა. კარიერის დასრულებამდე კი შირერს ალბათ ჯილდოს მოგების ბოლო შანსი ამ თვეში აქვს — „ნიუკასლი“ უეფას თასის ნახევარფინალშია

— გაისად კარიერის დასრულებას აპირებთ. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ გადაიფიქროთ?

— ყოველთვის მინდოდა, კარიერა მაშინ დამესრულებინა, როცა ჯერ კიდევ კარგ ფორმაში ვიქნებოდი. არ მინდა ვინმემ თქვას, შირერს თამაში აღარ გამოსდისო. ამიტომ, თუ ამ ზაფხულს სადმე არ გამიშვებენ, ერთი სეზონის მერე ფეხბურთს აუცილებლად დავემშვიდობები. ხოლო თუ სხვა გუნდში აღმოვჩნდი, მაშინ ვნახოთ.

— კარიერის მიწურულს უეფას თასის მოგება თქვენთვის ალბათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია...

— რა თქმა უნდა. მაგრამ მეორე მხრივ — სწორად გამიგეთ — მერჩივნა საერთოდ არ მეთამაშა უეფას თასზე და მის ნაცვლად ჩემპიონთა ლიგაში გამოვსულიყავით. მაგრამ რა ვუყოთ, ლიგაში ვერ გავედით და უეფას თასზე თამაშით უნდა ვინუგეშოთ თავი. ისე კი, ყოველ მომდევნო წრეში უკეთ და უკეთ ვთამაშობთ და იმედი გვაქვს, ფინალშიც გავალთ.

— როგორ ფიქრობთ, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე რა შედეგს მიაღწევს?

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი ნაკრების ლიდერები — მაიკლ ოუენი, პოლ სქოულზი, სტივენ ჯერარდი, დევიდ ბექემი და სოლ კემპბელი — როგორ ფორმაში იქნებიან. თუ მათ კარგად ითამაშეს, ჩემპიონობაც შეუძლიათ.

— ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი ფრანგებთან აქვს. რამდენად მნიშვნელოვანია პირველ მატჩში გამარჯვება?

— პირველ შეხვედრაში უფრო ძლიერი მეტოქის ყოლა წარმოუდგენელია. სიმართლე გითხრათ, ერთი ქულის მოპოვებაც არ იქნება ცუდი შედეგი. უბრალოდ, წაგებით დაწყება გუნდის განწყობაზე ცუდად მოქმედებს. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენი ლიდერები თუ კარგ ფორმაში იქნებიან, ფრანგების დამარცხება შეიძლება.

— ფავორიტებად ვის თვლით?

— ჩემი აზით, ფრანგები ყველაზე ძლიერები არიან. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები ხომ მოიგეს და პრემიერლიგაშიც თუ დაუკვირდებით, ფრანგი ფეხბურთელები გამორჩეულები არიან. პორტუგალიასაც ძლიერი გუნდი ჰყავს და თან სახლში თამაშობს. ჩემპიონობა ჩვენც შეგვიძლია.

— გული არ გწყდებათ ნაკრებში რომ აღარ თამაშობთ?

— არა, ოთხი წელი გავიდა, რაც ნაკრები დავტოვე და აღარ განვიცდი. უბრალოდ, მე არჩევანი გავაკეთე. ასაკის მატებასთან ერთად კლუბში და ნაკრებში ერთდროულად თამაში შეუძლებელი ხდება. მე არჩევანი კლუბის სასარგებლოდ გავაკეთე.

საყველპურო ამბები

ქვემოთ ყველის ჭამასა და უნიტაზზე ჯდომაზე გვექნება ლაპარაკი, რასაც, დაგვეთანხმებით, საერთო ბევრი არაფერი აქვს. ასევე მოგითხრობთ წვერგაუპარსავ კაცსა და ოპერაზე, რასაც ასევე ძნელად თუ მოვუნახავთ საერთოს. ორიოდე სიტყვით კოსმოსშიც გავიჭრებით.

და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მოვახერხეთ და ეს ამბები გავაერთიანეთ, რაც ძნელი სულაც არ ყოფილა.

უნიტაზი

ყველი კარგია, მაგრამ სუვენირად არ ვარგა. სუვენირად სხვა რამეები უნდა შეაგროვოს კაცმა. მაგალითად, უნიტაზი — ქართულად რა ჰქვია, არ ვიცით — რომ ჩამოწევ და ზედ დაჯდები, ის.

ამას წინათ, „ევერტონის“ ყმაწვილი ვარსკვლავი უეინ რუნი ახალ სახლში გადავიდა საცხოვრებლად და მუშები ძველ სახლს რომ ცლიდნენ, ერთ-ერთმა ეს საგანი მოიპარა. თუმცა ამას ქურდობასაც ვერ დავარქმევთ.

სუვენირებით მოვაჭრე ფირმა „ტრაქსის“ მეპატრონემ მაშინვე განაცხადა, ძალიან ძვირად შეიძლება გაიყიდოს, თუკი დამტკიცდება, რომ მასზე ნაღდად იჯდა რუნიო.

ოპერა

რუმინულმა „უნივერსიტატიამ“ ჩემპიონატის მატჩში არცთუ ძლიერი „პეტროლულა“ დაამარცხა, უფრო სწორად კი, გაანადგურა — 5:1. მაგრამ ამ ჩვეულებრივ ამბავს სასაცილო წინაისტორია აქვს.

საქმე ის გახლავთ, რომ „უნივერსიტატიას“ მეპატრონე დინელ სტაიკუ, რომელიც თავისი გუნდის სამეულში მოხვედრაზე ოცნებობს, თამაშის წინ ფეხბურთელებს დაემუქრა, თუ ვერ მოიგებთ, სასტიკად დაგსჯით, ოპერაში წაგიყვანთო.

„თუ მათ სტადიონის ხმაური არ მოსწონთ და ვერ თამაშობენ, კეთილი ინებონ და ორი საათი ოპერაში ისხდნენ და ნახონ, როგორი ტანჯვაცაა“ — თქვა სტაიკუმ.

მუქარამ გაჭრა.

ქართველო ფეხბურთელებო, თქვენ გელოდებათ „ქუჩის ბიჭების“ და ქეთა თოფურიას ერთობლივი კონცერტი!

წვერი

ნორვეგიელი კლაუს ლუნდეკვამი ინგლისურ „საუთჰემპტონში“ 1996 წლიდან თამაშობს, თავისი პირველი გოლი კი მხოლოდ წინა თვეში გაიტანა. ამ ამბავმა ნორვეგიელი ისე გაახარა, დაიფიცა, მეორე გოლს სანამ არ გავიტან, წვერს არ გავიპარსავო.

რამდენიმე დღის წინ კი ლუნდეკვამმა სინანულით ჩამოისვა ხელი წვერზე და თქვა, რაღაც ძალიან მეფხანებაო.

კოსმოსი

„აიაქსის“ კაპიტნის, რაფაელ ვან დერ ვაარტის სამკლავური კი კოსმოსში გაფრინდა.

ანდრე კუიპერი მეორე ჰოლანდიელი ასტრონავტია, რომელმაც კოსმოსი მოინახულა. მისი ბიძაშვილი ბასი კი „აიაქსის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს და სამკლავურიც იქ აუწაპნია. კოსმოსში კუიპერს კომბინიზონზე სწორედ ეს სამკლავური ეკეთა.

ყველი

ფულს ყველა ისე შოულობს, როგორც შეუძლია. ასე მაგალითად, ფრანგული „ლიონი“, რომელიც უკვე ფლობს ტაქსების კომპანიას და სადალაქოებს, ახლა საკუთარი ყველის დამზადებას შეუდგა.

ცხადია, სიდნეი გოვუ და ჟუნინიო ყველს თავად არ აწარმოებენ. ამისთვის „ლიონმა“ და მეყველე ფირმა „ლა მერე რიშარმა“ ხელი ხელს დაჰკრეს და ფრანგულ საყველო ბაზარს, რომელიც აქამდე ოთხასიოდე სახეობის ყველით მარაგდებოდა, „სენ მარსეინის“ სახეობაც შემატა. „სენ მარსეინს“ „ლიონის“ ლოგო ამშვენებს.

„ლიონი“ და „ლა მერე რიშარი“ ჩვენი რეგიონის სიმბოლოებია. ამიტომ ჩვენი თანამშრომლობა სავსებით ლოგიკურად გამოიყურება“ — თქვა „ლიონის“ წარმომადგენელმა.

კოტე კეკელია

მიირთვით ყველი ლიონი

მათი ხელფასი

ბექემს და ფერგიუსონს ოცი მილიონი დაუთვალეს

დევიდ ბექემი მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გამოდგა. მისი წლიური შემოსავალი მხოლოდ ფეხბურთიდან 15 მილიონ გირვანქას უახლოვდება.

„ფრანს ფუტბოლის“ ცნობით მადრიდის „რეალმა“ წლეულს ხელფასისა და პრემიის სახით 4,4 მილიონი გირვანქა გადაუხადა ბექემს. ამბობენ, რომ ფეხბურთელის არასაფეხბურთო შემოსავალი ამაზე მეტია.

ბექემს მაღალხელფასიანთა სიაში მოსდევს „რეალისავე“ რონალდო და ზინედინ ზიდანი, მათ შემდეგ კი მოდის ლივერპულელი მაიკლ ოუენი.

„მანჩესტერის“ თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი კი ყველაზე მაღალხელფასიანი მწვრთნელია. ხოლო სვენ გორან ერიკსონს ყველაზე კარგი კონტრაქტი აქვს ნაკრების მწვრთნელთა შორის. სერ ალექსის წლიური ხელფასი 5,8 მილიონი გირვანქაა, ერიკსონისა ამაზე 2 მილიონით ნაკლები. ფერგიზე ორჯერ ნაკლები აქვს „არსენალის“ მენეჯერ არსენ ვენგერს.

ამას წინათ დევიდ ბექემმა ცოლს მილიონგირვანქიანი ბეჭედი უყიდა, გაუჭირდებოდა?!



ალექს ფერგიუსონი

ფეხბურთელები

დევიდ ბექემი — 15 მილიონი გირვანქა
რონალდო — 11 მილიონი გირვანქა
ზინედინ ზიდანი — 9,4 მილიონი გირვანქა
მაიკლ ოუენი — 6,1 მილიონი გირვანქა

მწვრთნელები

ალექს ფერგიუსონი — 5,8 მილიონი გირვანქა
სვენ-გორან ერიკსონი — 3,7 მილიონი გირვანქა
ფაბიო კაპელო 2,8 მილიონი გირვანქა
არსენ ვენგერი — 2,3 მილიონი გირვანქა

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXXI ტური

არმინია 1:3 ნიურნბერგი

0:1 ვიტეკი (5), 0:2 ლ. მიულერი (27), 1:2 გაბრიელი (45), 1:3 კრუინოვეკი (50)

ნიურნბერგი	31	17	7	7	63:37	58
არმინია	31	15	7	9	47:33	52
კოტბუსი	31	14	8	9	48:41	50
ალემანია	31	14	7	10	48:48	49
მაინცი	31	11	14	6	44:34	47
ობერჰაუზენი	31	13	8	10	45:43	47
დუისბურგი	31	12	8	11	47:42	44
აუე	31	11	10	10	40:39	43
ფიურტი	31	10	11	10	54:48	41
ტრიერი	31	11	8	12	45:48	41
უნტერჰაჩინგი	31	10	9	12	36:41	39
კარლსრუე	31	10	9	12	35:41	39
ბურგჰაუზენი	31	10	8	13	35:38	38
რეგენსბურგი	31	9	11	11	37:46	38
ლიუბეკი	31	9	10	12	44:52	37
ალენი	31	10	7	14	32:44	37
უნიონი	31	8	8	15	40:47	32
ოსნაბრიუკი	31	7	6	18	30:48	27

უკრაინა

ალსკენსკა. V ტური

ტრელებორგი 1:1 მალმიო

აიკ 0:2 ჰალმსტადი

ელფსბორგი 1:1 ჰელსინგბორგი

ჰალმსტადი	5	4	1	0	11:4	13
მალმიო	5	3	2	0	12:3	11
ჰამარბი	5	3	2	0	5:2	11
კალმარი	5	3	1	1	7:5	10
იურგორდენი	5	2	2	1	9:7	8
იორგრიტე	4	1	3	0	4:3	6
ტრელებორგი	5	1	3	1	5:5	6
გიოტებორგი	4	1	2	1	3:1	5
ლანდსკრონა	5	1	2	2	4:4	5
აიკ	5	1	2	2	3:6	5
ჰელსინგბორგი	5	0	3	2	6:8	3
იორებრო	5	1	0	4	6:14	3
სუნდსვალი	5	0	2	3	3:7	2
ელფსბორგი	5	0	1	4	3:12	1

პოლონეთი

I ლიგა. XXI ტური

ვისლა 3:1 ვიძევი
ამიკა 0:1 ლეგია
გურნიკი 2:2 გროცლინი
ლეხი 2:0 ოდრა
პოლკოვიცე 0:0 კატოვიცე
პოლონია 3:0 ლეჩნა
პლოცკი 2:0 სვიტი

ვისლა	21	17	1	3	62:26	52
ლეგია	21	14	5	2	39:14	47
ამიკა	21	12	4	5	38:22	40
გროცლინი	21	10	5	6	49:27	35
პლოცკი	21	9	7	5	37:32	34
ოდრა	21	8	4	9	23:31	28
ლეხი	21	7	6	8	36:30	27
ლეჩნა	21	8	3	10	19:33	27
გურნიკი	21	6	8	7	21:27	26
კატოვიცე	21	6	5	10	16:34	23
პოლონია	21	5	7	9	21:32	22
ვიძევი	21	3	7	11	22:34	16
სვიტი	21	3	6	12	16:35	15
პოლკოვიცე	21	3	4	14	13:35	13

ნორვეგია

ტიპელიგა. IV ტური

ფრედრიკსტადი 2:2 ვოლერენგა

ტრომსიო	4	3	1	0	8:2	10
ოდ გრენლანდი	4	2	2	0	5:1	8
რუსენბორგი	4	2	2	0	5:2	8
ვოლერენგა	4	2	2	0	5:3	8
ჰამ კამი	4	1	3	0	4:2	6
ლინი	4	1	2	1	3:3	5
ბრანი	4	1	1	2	4:3	4
ლილესტრიომი	3	1	1	1	4:3	4
სტაბეკი	4	1	1	2	4:5	4
მოლდე	4	1	1	2	3:5	4
ფრედრიკსტადი	4	1	1	2	3:6	4
ბოდიო გლიმტი	4	1	0	3	2:6	3
ვიკინგი	3	0	2	1	1:5	2
სოგნდალი	4	0	1	3	3:8	1

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVIII ტური

სინოტი 4:2 სლავია

ბანიკი	28	17	9	2	55:21	60
სპარტა	28	14	10	4	44:22	52
სლავია	28	14	7	7	40:22	49
სიგმა	28	14	7	7	40:23	49
სინოტი	28	12	6	10	41:37	42
ზლინი	28	12	5	11	31:34	41
ლიბერეცი	28	10	10	8	33:26	40
ბუდეიოვიცე	28	10	7	11	33:35	37
ტეპლიცე	28	8	12	8	29:30	36
იაბლონეცი	28	7	14	7	24:30	35
პრჟიბრამი	28	8	7	13	29:36	31
ოპავა	28	8	7	13	29:46	31
ბრნო	28	7	9	12	31:39	30
ჟიჟკოვი	28	6	9	13	18:30	27
ბლშანი	28	7	6	15	30:50	27
პლზენი	28	4	7	17	21:48	19

შპრაინა

პრემიერლიგა. XXIII ტური

ოგოლონი 3:0 ზირკა

დინამო	23	18	4	1	48:14	58
შახტარი	23	15	4	4	41:18	49
დნიპრო	23	14	6	3	39:17	48
მეტალურგი(დ)	23	10	8	5	38:26	38
ჩერნომორეცი	23	9	10	4	30:23	37
ობოლონი	23	8	6	8	22:24	33
არსენალი	23	8	7	8	27:25	31
ილიჩევეცი	23	6	9	8	23:31	27
ვოლინი	23	7	5	11	20:31	26
ბორისფენი	23	6	7	10	14:23	25
კრივბასი	23	6	6	11	19:28	24
ტავრია	23	5	8	10	15:22	23
ვორსკლა	23	5	8	10	17:30	23
მეტალურგი(ზ)	23	5	7	11	18:29	22
კარპატი	23	4	7	12	17:26	19
ზირკა	23	2	8	13	11:31	14

ფეხბურთის რუკასთან

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუერთდა და შესაძლოა, მისი ვიცე-პრეზიდენტიც გახდეს. იორდანესკუ 6 ივნისს დაგეგმილ არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას. **შეგახსენებთ, მისი თავკაცობით რუმინეთის ნაკრებს 1994 და 1998 წლების მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე უთამაშია.**

ესპანური „რეალის“ სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო ირწმუნება, პრიმერაში ჯერ არაფერი დაგვიკარგავსო. „მართალია, ვითარება რთულია, მაგრამ შანსები კიდევ არსებობს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვიცით, რომ თანამედროვე ფეხბურთში ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ამბებიც ხდება. თუ ჩემპიონობის იმედი საბოლოოდ გადაგვეწურება, თავისუფლად თამაშით ვისიამოვნებთ და მეორე ადგილს დავიცავთ. ჯერჯერობით პრიმერადივიზიონის მოგებაზე ვფიქრობთ, მაგრამ თუ პირველ ადგილს „ვალენსია“ დაიბევებს, ნამდვილად ჯობია, იყო მეორე, ვიდრე მესამე“ — დასძინა ვალდანომ.

ბრაზილიელი ფორვარდი მარსიო ამოროზო შესაძლოა, ინგლისურ „პორტსმუთში“ გადავიდეს. დორტმუნდის „ბორუსიას“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი ინგლისში იმყოფება და კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. **შეგახსენებთ, რომ 29 წლის თავდამსხმელს ბუნდესლიგაში გამართულ 59 მატჩში 28 გოლი აქვს გატანილი.**

პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ მცველი რუი ჟორჟე დოპინგზე ჩავარდა. პირველი ტესტი, რომელმაც ეჭვები გამოიწვია, 31 წლის მცველს 13 თებერვალს „სპორტინგისა“ და „მორეირენსეს“ მატჩის შემდეგ ჩაუტარდა. ხელმეორე გამოკვლევამ კი ყველაფერი ცხადყო და ახლა რუი ჟორჟეს სულ ცოტა ექვსთვიანი უქმობა ელის. ვეტერანი ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატს რა თქმა უნდა, გამოტოვებს.

ესპანური „ბარსელონას“ შემტევი ნახევარმცველი რიკარდო კვარესმა დაშავდა. მან ტრავმა გასულ უქმეებზე კატალონიურ დერბიში მიიღო და ეგებ, ოპერაციაც დასჭირდეს. ექიმების თქმით, ახალგაზრდა პორტუგალიელს დაახლოებით სამი თვით მოუწევს დასვენება. კვარესმა მოახლოებულ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატს გამოტოვებს.

ბელგიის ჩემპიონატის მე-11 ადგილოსანი „ლიერსი“ მესამე დივიზიონში დაქვეითდება. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო მიიღო. კლუბს აპელაციის შესატანად კიდევ ორი დღის ვადა აქვს, მაგრამ სავარაუდოდ, გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

ესპანური „ოსასუნას“ მექსიკელი თავკაცი ხავიერ აგირე მალე ახალ კონტრაქტს გააფორმებს. კლუბის ხელმძღვანელობა „ოსასუნას“ წლევანდელი შედეგებით კმაყოფილია, მაგრამ ჯერ უცნობია, რამდენწლიან ხელშეკრულებას შესთავაზებენ აგირეს. პამპლონელები უეფას თასის საგზურისთვის იბრძვიან.

სორვატიული „ჰაიდუკის“ მწვრთნელი ზორან ვულიჩი გუშინ მოხსნეს. გასულ შაბათს სპლიტელები მარადიულ მეტოქე ზაგრების „დინამოსთან“ დამარცხდნენ (1:3) და ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ლიდერობაც დათმეს. ვულიჩის დათხოვნაც სწორედ ამან გამოიწვია. ვიდრე ახალ მწვრთნელს დანიშნავდნენ, „ჰაიდუკს“ სეზონის ბოლომდე კლუბის ყოფილი მოთამაშე პეტარ ნადოვიცა გაწვრთნის.

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, სეზონის ბოლოს „ჩელსი“ და „მილანი“ ფეხბურთელებს გაცვლიან — არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო იტალიის ჩემპიონის ბანაკს შეუერთდება, ხოლო პორტუგალიელი გამთამაშებელი მანუელ რუი კოშტა „არისტოკრატი“ გახდება. ჭორების საფუძველს უმყარებს ჟოზე მაურინიუც, რომელიც მომავალი ზაფხულიდან სწორედ „ჩელსის“ მწვრთნელი უნდა გახდეს, ხოლო რუი კოშტა მისი ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშეა.

ინგლისურმა „ბოლტონმა“ კიდევ ერთ ვეტერანს, მატიას ალმეიდას დაადგა თვალი. „ინტერის“ არგენტინელ ნახევარმცველს სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტიც ხდება. ალმეიდაც უკვე რა ხანია, გაიძახის, კარიერას ვასრულებო. „ბოლტონი“ მაინც თავისას ეცდება და თუ დაითანხმა, არგენტინელს სულ ცოტა ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერინებს ხელს.

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ სერბი ფორვარდი მატეა კეჟმანი სეზონის ბოლოს რომელიმე დიდ გუნდში გადავა. ბოლო წლებია, მისი სახელი თითქმის ყველა ბობოლა ევროპულ კლუბს დაუკავშირეს და მსურველები ახლაც მრავლად არიან. თუმცა ამ ეტაპზე თავად კეჟმანმა მხოლოდ „ლივერპულზე“ თქვა, ინგლისური გუნდის წარმომადგენლები უკვე დამიკავშირდნენო.

ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ სეზონის ბოლოს თავდამსხმელ რობი ფაულერს ტრანსფერზე დააყენებს. „ლივერპულის“ ყოფილი ფორვარდი მთელი სეზონის მანძილზე არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობს. თანაც, გუნდში ყველაზე მაღალხელფასიანია, კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს და „სიტის“ ბოსებსაც არ სურთ, უსარგებლო ფეხბურთელს ამხელა თანხა ტყუილად უხადონ.

ჰამბურგი ვერდერს დაუწვა!

როგორ გადაუხადა სამაგიერო ტოპმიოლერმა ჰიონესს და ბაიერნს



ული ჰიონესი

„ვერდერთან" „ჰამბურგის" უსუსურმა თამაშმა და 0:6-ით მარცხმა „ბაიერნი" დიდ-ჰატარიანად გადარია. მიუნხენური ჯლუბის უფროსობას მიაჩნია, რომ ჯლაუს ტოპმიოლერის გუნდმა მატჩი შეგნებულად დათმო. ამის გამო გერმანიაში დიდი რია-რია ატყდა, ბაიერნელები ჰამბურგელებს „ფეირ პლეის" დაუწერელი ჯანონის დარღვევაში ადანაშაულებენ.

კლაუს ტოპმიოლერი

ყველამ თავისას მიხედოს

როგორც ეს ხშირად ხდება, „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი შეტევაზე პირველი გადავიდა. აქვე გავიხსენოთ, რომ ლევერკუზენის „ბაიერის" თავკაცობისას კლაუს ტოპმიოლერმა „ბაიერნთან" საჩემპიონო ბრძოლა წააგო. მაშინ ჰიონესმა „ფარმაცევტთა" გუნდს დასცინა, 100 წლის შემდეგაც ვერ დაგვეწევითო.

ამჯერად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპმიოლერმა „ვერდერთან" წაგებით ერთგვარად სამაგიერო მიუზღო მიუნხენურ კლუბს.

„ბაიერნის" გენერალური მენეჯერი გაცოფდა: „ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე „ჰამბურგის" დონის გუნდი ლიდერთან 0:6-ს აგებს. მაინტერესებს, მაინცდამაინც ამ მატჩში რატომ მოინდომა ტოპმიოლერმა სათადარიგო მეკარის გამოყვანა, რომელსაც ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთხელ უთამაშია? ექსპერიმენტი „ფეირ ჰლეის" წესებს არ უნდა ვნებდეს".

ული ჰიონესს „ბაიერნის" აღმასრულებელმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ კვერი დაუკრა: „დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანი თამაშის წესი დაირღვა. „ჰამბურგის" გაქანების გუნდს მოედანზე სეირნობა არ ეკადრება. მსგავსი საქციელი ბუნდესლიგის შექმნის პრინციპს ეწინააღმდეგება. ჰამბურგელებზე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მეტოქეს დაუწვნენ, მაგრამ მატჩს აშკარად აგდებულად მიუდგნენ".

ომობანაში „ჰამბურგის" ყოფილი მოთამაშე, დიდი გერმანელი უვე ზეელერი ჩაერია: „მიუნხენელთა ასეთი რეაქცია ბუნებრივია. მე მრცხვენია იმ გუნდის ნაცვლად, რომელსაც ვემსახურე და ახლაც, ცხადია, ვქომაგობ. მოედანზე მათგან ბრძოლისმაგვარი არაფერი მინახავს, თითქოს არაპროფესიონალები თამაშობდნენ და სულ არ ადარდებდათ, რაც ხდებოდა. ჩემი აზრით, მსგავსი თამაშით ფეხბურთელები პირველ რიგში საკუთარ თავს აზარალებენ. ახლა კლაუს ტოპმიოლერმა მატჩის ვიდეოფირი 20-ჯერ მაინც უნდა დაატრიალოს წაღმა-უკუღმა და ანახოს ფეხბურთელებს, რაც ჩაიდინეს".

დავაში თავისი სიტყვა გერმანიის ფეხბურთის მავანმა ჩინოვნიკმაც თქვა: „სამწუხაროა, როცა მატჩში ერთი გუნდი მეორის წინააღმდეგ ასე გულარხეინად თამაშობს და თავმოყვარეობის ნიშან-წყალი არ უჩანს. ეს ბუნდესლიგის აბუჩად აგდებაა".

ჰამბურგელთა მხრიდან კლუბის პრეზიდენტმა ბერნდ ჰოფმანმა მოკლედ მოჭრა: „ჩვენი ბრალი არ არის, რომ 31 ტურის შემდეგ „ბაიერნი" „ვერდერს" ექვსი ქულით ჩამორჩება".

ული ჰიონესი: „ბაიერნს" ყოველი მატჩის მოსაგებად ცხრა პირი ოფლის დაღვრა უწევს და ის, რაც „ჰამბურგმა" გააკეთა, ჩემი გუნდის გულშემატკივართა სულში ჩაფურთხებას ნიშნავს. „ვერდერს" 1:0 ან 2:0 რომ მოეგო, არ გამიკვირდებოდა, რადგან ნაღდად ძლიერები არიან, მაგრამ როცა მეტოქე აშკარად უწვება, ეს საშინელებაა".

ბრემენული კლუბის მარკეტინგის დირექტორი მანფრედ მიულერის აზრით, ანტივერდერული კომპანიაა გაჩაღებული: „ყველამ თავის გუნდს მიხედოს და ჩვენ შეგვეშვან. „ვერდერს" ოთხმატჩიანი ჩავარდნა ჰქონდა და „ჰამბურგთან" მოსაგებად მოტივაცია საკმაოდ დაუგროვდა. ამიტომაც ვძლიეთ მეტოქეს იოლად, დიდი ანგარიშით".

სიტყვიერ ბრძოლაში „მუსიკოსთა" ფეხბურთელი ივან კლასნიჩის ჩაერია: „ბოლოს და ბოლოს გაგვანებონ თავი, რა უნდათ ჩვენგან? მომავალ შაბათს მიუნხენში ჩავალთ და „ოლიმპიაშტადიონზე" დავამტკიცებთ, რომ ჩემპიონობას ვიმსახურებთ".

კლასნიჩის ნათქვამზე ული ჰიონესმა თურმე გულიანად იხარხარა და ასე უპასუხა: „შაბათისთვის უკვე საგანგებოდ ვიზრუნეთ და იქ გამოჩნდება, რომ ქვეყნის საუკეთესო გუნდი „ბაიერნია".

ამ ორომტრიალში, ცხადია, კლაუს ტოპმიოლერიც გაერია: „ჰამბურგის" ქომაგებს ბოდიშს ვუხდი ამ მარცხის გამო, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ სწრაფი და უცნაური გოლი გავუშვით. ბარბარესმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. „ვერდერმა"თავისი უპირატესობა იგრძნო და საქმე ბოლომდე მიიყვანა, რაც ჩვენი კატასტროფით დასრულდა. მეტოქეს ტემპში ავყევით, ეს კი „ვერდერთან" ფაქტობრივად, წაგებას ნიშნავს".

ტოპმიოლერის ბაიერნელმა კოლეგამ ოტმარ ჰიცფელდმა უფროსებთან შედარებით დიპლომატიურად ილაპარაკა: „ჰამბურგის" კაპიტულაცია იმაზე მეტყველებს, რომ ამ გუნდს მოტივაცია არ ჰქონდა, მაგრამ მოვლენათა ასეთი განვითარება „ბაიერნს" კიდევ უფრო გააშმაგებს და ჩემპიონობის სურვილს გაუორმაგებს".

ჰამბურგელთა კაპიტანმა ჰოოგმამ შეგნებულად დათმობა უარყო: „ამ მატჩის გარშემო რატომღაც აურზაური ატყდა. ვაღიარებ, ჩვენ „ვერდერთან" ფეხბურთი არ გვითამაშია, მაგრამ სისულელეა იმის მტკიცება, რომ ეს შეგნებულად გავაკეთეთ". ხოლო საკუთარ კარში გოლის გამტანმა ბარბარესმა დასძინა: „ფეხბურთში ყველაფერი ხდება. შემთხვევით ბურთი ჩემს კარში შევაგდე, მერე კი მეტოქემ დაგვარბია, რისთვისაც გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი".

ვაჟა ხუციშვილი

შატორუმდე დიდი გზაა

შარშანდელი ჩემპიონი პორტუგალიის ნაკრები

გუშინ საფრანგეთში ევროპის 17-წლამდელთა მესამე ჩემპიონატი დაიწყო. რვა ქვეყნის ნაკრები ორ ჯგუფში გაანაწილეს. მასპინძლებთან ესპანელები, თურქები და ჩრდილოირლანდიელები მოხვდნენ.

ესპანელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. ასეთ ტურნირებში ისინი ყოველთვის წარმატებულად გამოდიან. ხუან სანტისტებანის ბიჭები განსაკუთრებით შეტევით გამოირჩევიან, მათი ლიდერი კი ფრანსესკ ფაბრეგასია, რომელიც 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესოდ აღიარეს.

ჩრდილოირლანდიელი ჭაბუკები პირველად თამაშობენ ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო თურქებმა შესარჩევ ეტაპზე პოლონეთს, სერბეთსა და თვით იტალიას სძლიეს.

წინა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულ პორტუგალიელებს ავსტრიასთან, ინგლისთან და უკრაინასთან ჭიდილი მოუწევთ. აღსანიშნავია, რომ ავსტრიელებმა ექვსი საკვალიფიკაციო მატჩი დაუმარცხებლად განვლეს და მათ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელი, ერვინ ჰოფერი ჰყავთ. ინგლისელები გასული წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები, ავსტრიელები კი ბრინჯაოსნები არიან.

აქვე ვთქვათ, რომ ჩემპიონატი უქართველოდ არ ჩაივლის. რამდენიმე მატჩის თანამსაჯი ზაზა მენთეშაშვილი იქნება.

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი საფრანგეთი (4 — 15 მაისი)

UEFA UNDER17 CHAMPIONSHIP

A ჯგუფი

საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, ჩრდ. ირლანდია

გუშინ	ესპანეთი	—	თურქეთი
გუშინ	საფრანგეთი	—	ჩრდ. ირლანდია
06.05	ჩრდ. ირლანდია	—	თურქეთი
06.05	საფრანგეთი	—	ესპანეთი
09.05	თურქეთი	—	საფრანგეთი
09.05	ჩრდ. ირლანდია	—	ესპანეთი

B ჯგუფი

პორტუგალია, ინგლისი, უკრაინა, ავსტრია

გუშინ	უკრაინა	—	ინგლისი
გუშინ	ავსტრია	—	პორტუგალია
06.05	უკრაინა	—	ავსტრია
06.05	ინგლისი	—	პორტუგალია
09.05	პორტუგალია	—	უკრაინა
09.05	ინგლისი	—	ავსტრია

ნახევარფინალი

12 მაისი	A1	—	B2
12 მაისი	B1	—	A2

ფინალი. 15 მაისი. შატორუ

გაზაფხულდა, მიხაილიჩენკო დათბა

თუ რამ სასწაული არ მოხდა, კიევის „დინამოს“ უკრაინის ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება. ჩვენებური ალეკო ამისულაშვილი კი თანდათან უახლოვდება ძირითად შემადგენლობას. ის აუტსაიდერ „კარპატისთან“ საკვირაო მატჩის 18-კაციან განაცხადშიც შეიყვანეს.

გაცილებით ოპტიმისტური გვეჩვენა ალეკოს განწყობაც, როცა კიევში შევეხმიანეთ...

— ორი-სამი კვირაა, ვარჯიშებზე მიხაილიჩენკოსგან განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობ. უკვე ძირითად გუნდთან ერთად მავარჯიშებს, თან ვარჯიში ისე არ ჩაივლის, ჩემთან არ მოვიდეს და არ დამელაპარაკოს.

— ესე იგი, მიხაილიჩენკოსთან ურთიერთობა დათბა?

— ყოველ შემთხვევაში, ახლა ვგრძნობ, რომ საჭირო ვარ და ჩემზეც ამყარებენ იმედებს.

— რაკი მთავარ გუნდში გადაგიყვანეს, ფეხბურთელებსაც უფრო დაუახლოვდებოდი...

— ამ მხრივ პრობლემა არც აქამდე მქონია. „დინამო“ ძალიან მეგობრული გუნდია.

— კიევის „დინამომ“ ჩემპიონობა თითქმის გაინაღდა. ალბათ, დარჩენილ მატჩებში თამაშის შანსი მეტი გექნება...

— აქ არ თვლიან, რომ ჩემპიონობა განაღდებული აქვთ. პირიქით, ყველა მატჩს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან როგორც ფეხბურთელები, ისე მწვრთნელები. მიხაილიჩენკომ იცის, რომ შესაძლოა, ერთი ფეხის დაცდენასაც კი გადაყოლონ, ამიტომ ექსპერიმენტებს ერიდება და შემადგენლობას თითქმის არ ცვლის. თუმცა უკვე ვგრძნობ, რომ ჩემი თამაშის დროც ძალიან მალე დადგება. სიახლე კი ისაა, რომ ბაზაზე სატელიტური ანტენა დაამონტაჟეს და 4-5 ქართულ არხს ვუყურებ.

დავით ერაძე

ჩალაძე და რუბინი: 0:0 პირველ ტაიმში

ბოლოს ყაზანურ „რუბინში“ მოთამაშე დავით ჩალაძე კვლავაც უგუნდოდაა და მოსკოვში ელის ბედს.

ჩალაძე „რუბინს“ ზამთარში დაშორდა და საქართველოში დაბრუნდა. თითქმის გადაწყვეტილი იყო თავდამსხმელის ბოლნისურ „სიონში“ ჩარიცხვა, თუმც, წლეულს უღიმღამოდ მოთამაშე „რუბინმა“ ქართველი მეგოლის დაბრუნება მოინდომა და ჩვენებურიც მოსკოვში გაემგზავრა კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად.

კვირას ყაზანელები „ტორპედოს“ სტუმრობდნენ მოსკოვში, ის მატჩიც წააგეს და ითქვა, ჩალაძის „რუბინში“ დაბრუნება გადაწყვეტილი ამბავიაო, თუმც, როგორც ჩანს, ჯერაც არაფერია გარკვეული.

ქართველი ფორვარდი ყაზანური კლუბის ხელმძღვანელობასკი შეხვდა, მაგრამ თითქმის ვერაფერზე შეუთანხმდა. ამის შესახებ თავად ჩალაძემ გვითხრა, გუშინ მოსკოვში რომ დავუკავშირდით.

— არაფერი გადაწყვეტილა. კლუბს თავისი პირობები აქვს, მე — ჩემი, ამიტომაც მოლაპარაკება არ შედგა, თუმც არც დასრულებულა. ერთი კვირის შემდეგ ისევ შევხვდები ყაზანელებს და თუ შევთანხმდით, გადავალ „რუბინში“, არადა, სხვა ვარიანტებიც მაქვს, მათზე კონკრეტულად საუბარი კი ახლა არ მსურს.

პაატა ძვანტალიანი

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

6 მაისი

ოცდამეექვსე ტური

ამერი — ოლიმპი

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 18 საათზე. დასწრება უფასოა

ამხანაგური მატჩი

ანატოლი ბორბოჩევი ფოტო

რკინიგზელი გიორგი მიქაძის დარტყმულს გიორგი თარხნიშვილი ვერ გაუმკლავდა

ვარჯიშებზეც ვივლი ტყებუჩავა კონტროლით იწყებს

დავით თავართქილაძე



ლოკომოტივი 4:2 საქართველო U21

თბილისი. 4 მაისი. 16 საათი. ლოკომოტივი. 100 (ტევადობა 25 600)

1:0 დათვაძე (13), 2:0 სოსელია (32), 2:1 ჭელიძე (35), 3:1 მიქაძე (65), 3:2 გუშარაშვილი (85), 4:2 სალუქვაძე (90)

ლოკომოტივი	საქართველო U21
მამალაძე (ხაჩირაშვილი 46), ორბელაძე (დ. დოლიძე 46), ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ძამსაშვილი, მანწკავა (მორჩილაძე 46), დათვაძე (დავითულიანი 46), სანიკიძე, გ. ჟ. მიქაძე (ლილუაშვილი 78)	შეყრილაძე (გ. თარხნიშვილი 46), გუშარაშვილი, მანჩხავა, გ. ონიანი, სამსიანი (აფშილავა 46), მ. ტყებუჩავა (დარსანია 58), გოგუა (ქოქიაშვილი 54), ი. ულენტი, რაქვიაშვილი, გოგინაშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე (კობახიძე 57)
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე	მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაძევება: მანწკავა (44)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; დ. კურტანიძე (სურამი), ს. ფიფია (გალი)

ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახალი მთავარი მწვრთნელის ხელში პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. გოჩა ტყებუჩავამ თექვსმეტი ფეხბურთელი გამოსცადა, თუმც ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქედან 2-3 ფეხბურთელის გარდა სხვაც მოხვდეს იმ ნაკრებში, რომელიც შესარჩევ ციკლში ითამაშებს.

ოცდაერთწლამდელებმა ის ჟინი ვერ აჩვენეს, რაც ნაკრებს მოეთხოვება. ფეხბურთელთა უმრავლესობას არ ეტყობოდა, რომ ისინი თავმომწონედ თამაშობდნენ და მწვრთნელისთვის რაღაცის დამტკიცება სურდათ.

რა თქმა უნდა, „ლოკომოტივს“ თავი დიდად არ გამოუდვია, მაგრამ რახან ფეხბურთელი ხარ და მინდორზე სათამაშოდ გადიხარ, უნდა მოიგო — ინსტინქტს აყოლილმა რკინიგზელებმა დიდი ჯაფის გარეშე დაჯაბნეს მეტოქე.

ტყებუჩავამ დაცვაში სამი კაცი გაამწესა — ნიკა გუშარაშვილი, ნუკრი მანჩხავა და გიორგი ონიანი; ფლანგები ირაკლი სამსიანს და თემურ რაქვიაშვილს ჩაბარა; საყრდენებად მამუკა ტყებუჩავა და გოგიტა გოგუა ათამაშა, მათ წინ ირაკლი ულენტი, ხოლო თავდამსხმელობა რომან გოგინაშვილმა და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ გასწიეს.

ტყებუჩავას მიერ გამოცდილი თექვსმეტი ფეხბურთელიდან ხუთი პირველლიგელი იყო, ხოლო დანარჩენთაგან მხოლოდ ოთხი თუ თამაშობს თავიანთი გუნდების ძირითადში სისტემატურად — ასეთი კონტინგენტით მართლაც ძნელია ზეექვსეულის გუნდის დამარცხება, თუმც ამ შეხვედრის მიზანი სულ სხვა იყო.

პირველი გოლი ასე გავიდა: დავით დათვაძემ მეტოქის საჯარიმო მოედნის ხაზთან მოიგდო ბურთი, გზად ერთი მცველი ჩამოიცილა და შორეულ კუთხეს კარგად დაუმიზნა. ხოლო მიხეილ სოსელიამ ფლანგური ჩაწოდებით და ახალგაზრდული ნაკრების მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა — 2:0.

პირველ ტაიმში „ლოკომოტივის“ დაცვა ერთხელ შეცდა, რამაც გიორგი ჭელიძეს საშუალება მისცა, სიჩქარე აეკრიფა, მერე კი ზუსტად დაერტყა — 2:1.

მეორე ტაიმში ახალი ფეხბურთელების შემოსვლამაც ვერ შეცვალა მდარე თამაში. თუმც კიდევ სამი გოლი მაინც ვიხილეთ, რომელთაგან გიორგი მიქაძისა გამორჩეული იყო — „ლოკომოტივის“ ფორვარდმა მეტოქე მცველი ოსტატურად გააცურა და გიორგი თარხნიშვილსაც უნაკლოდ დაურტყა. რაც შეეხება გუშარაშვილისა და ლაშა სალუქვაძის გოლებს, ისინი თავურებით გავიდა ფლანგური ჯარიმების შემდეგ.

ნამატჩევს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ *გოჩა ტყებუჩავას*.

— ამ შეხვედრაში ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შერჩეული ფეხბურთელებისთვის ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მიგვეცა. მომდევნო მატჩს 14 მაისს ჩავატარებთ „თბილისთან“ ან „ვიტ ჯორჯიასთან“ და იქ სხვა შემადგენლობით ვითამაშებთ.

— მსურს, რომ ნაკრების კანდიდატებს მაშინაც დავაკვირდე, როცა ისინი თავიანთ კლუბებში ვარჯიშობენ — მოკლედ, ვარჯიშებზეც ვივლი, რადგან ისიც მაინტერესებს, როგორ იქცევიან იქ ფეხბურთელები.

— გადაწყდა, რომ ჩემი თანაშემწე მეკარეების მწვრთნელ ნიკა ჩხეიძის გარდა გიორგი დევდარიანი იქნება.

პაატა ბეჟოლაძის ფოტო

ნიკა ჩხეიძე, გიორგი დევდარიანი და გოჩა ტყებუჩავა

დავით უიფიანის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. ანონსი

ჩემპიონთა ლიგის არ იყოს, დღეს საქართველოს თასის ფინალური წყვილიც გაირკვევა.

უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი, მწვრთნელშეცვლილი „სპარტაკი“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს დიდი, ეგებ ამოუხსნელი თავსატეხითაც. „სპარტაკს“ ქუთაისური 0:2 აქვს ამოსაქაჩი, რაც ძნელად სავარაუდოა. ასეთ ვითარებაში ჩაიბარა გუნდი ბესიკ შეროზიამ და ჩანს, მთლად უიმედოდ არ არის, თუმც, რაღა თქმა უნდა, შეროზიას მთავარი ამოცანა უმაღლესში დარჩენაა და სათუოა, საბანი სათასოდაც გასწვდეს მის გუნდს.

დიდი ამბები იქნება გორში. სავსე ტრიბუნები, ემოცია, ხმაური და „დილა“ — „დინამო“...

ხორგუაშვილს კი სჯერა, მაგრამ გაატარებენ?

ზურაბ ხორგუაშვილის ფოტო

გორი. 5 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — დინამო (0:1)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

დღეს სეზონის გადამწყვეტი თამაში აქვს ზურაბ ხორგუაშვილის გუნდს. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „დილა“ უვაზნო თოფივითაა, მოგებას ვინ ჩივის, წამლად ერთი გოლი აგერ, ბოლო ტურშიღა გაიტანა. თუმც ცარიელი თოფის ამბავი ხომ იცით, ერთხელ გაისვრის და ამ გასროლას ელიან დღეს გორელები. „დინამოსთან“ დიდ ომს ვაპირებთ, კარგია, რომ უკან დასახევი გზა არ გვაქვსო, გვითხრა *ზურაბ ხორგუაშვილმა*, გუშინ რომ შეეხმიანეთ...

— გჯერათ, რომ ორი მატჩის ჯამში „დინამოს“ დაამარცხებთ?

— რას ჰქვია, მჯერა?! მჯერა კი არა, დარწმუნებული ვარ. მეტოქეს დიდ სიურპრიზს ვუმზადებთ.

— მნიშვნელოვან ტაქტიკურ ცვლილებებს აპირებთ?

— სულ სხვა სტილით ვითამაშებთ. აქამდე რომ არ გვითამაშია, ისე და იმედი მაქვს, ეს სიახლე გაამართლებს. დანარჩენს კი თამაში გამოაჩენს.

— ჩემპიონატის ბოლო ტურში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი გაკლდათ. ისინი სანახევარფინალოდ დაასვენეთ?

— არც უმაგისობა იყო, თუმც ზოგს მიკროტრავმებიც ჰქონდა. „დინამოსთან“ კი საბრძოლო შემადგენლობა მეყოლება. ქომაგის იმედიც მაქვს. მპირდებიან, ტრიბუნები გაივსებაო. ჩვენც ეგ გვინდა. გაავსონ სტადიონი, უფრო მეტი გორელი გაიხარებს.

1:0 სიშტივითაა, ვერ დაჯდები

ახლა „დინამოს“ ამბებიც ვიკითხოთ. გუნდის ახალ თავკაც *გია გეგუჩაძეს* წარმატებული დებიუტი ჰქონდა — ოთხიოდ დღის წინ ჩემპიონატის ლიდერი, ბოლნისის „სიონი“ დაამარცხა. დღეს კი მეორე ფრონტზეც ელის გამოცდა. როგორც ჩანს, „დინამოში“ ყაზარმული ვითარება დასრულდა და გეგუჩაძეც გუშინ კომენტარს არ დაგვზარდა.

— საშიში მეტოქე გვყავს, რადგან „დილას“ ამ სეზონში თასის გარდა სხვა მოტივაცია არ აქვს და ყველაფერს გაიღებს ფინალში გასასვლელად. თუმც, ბუნებრივია, ეს თამაში ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია და ჩვენი შესაძლებლობების დამტკიცებას ბოლომდე შევეცდებით.

— პირველი მატჩი „დინამომ“ 1:0 მოიგო. ეს საკმაო ფორაა თქვენთვის?

— ფორა კია, მაგრამ სახიფათო ანგარიშია, ისეთი, რომელიც დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. ამიტომაც თბილისური მოგება სათვალავში არ უნდა მივიღოთ და როგორც ყოველთვის, გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, ასეთი განწყობით უფრო მივაღწევთ სასურველ შედეგს.

— ტრავმირებული ხომ არ გყავთ?

— სამწუხაროდ, გიორგი ნემსაძეს ვერ ვათამაშებთ. მას მიკროტრავმა აქვს და სჯობს, ცართულება თავიდან ავიცილოთ.

— მის ადგილს ვინ დაიკავებს ძირითადში?

— მგონი, „სიონთან“ რომეროს ცუდად არ უთამაშია... ვნახოთ, საბოლოო გადაწყვეტილებას მატჩის წინ მივიღებ.

— ლადო ახალაია თუ ითამაშებს?



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

— ლადოსაც მიკროტრავმა აქვს, ამიტომ შესაძლოა მანაც გამოტოვოს ეს შეხვედრა.

პაატა კვანტალიანი

ზურაბ ხორგუაშვილის ფოტო

გორში გიორგი ნემსაძეს რომეროს შეცვლის

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

ისევ ერთად, ისევ გორში: თანამსაჯ გურამ ჩიგოგიძეს დღესაც ძველი ნაცნობი პოლიციელი დაიცავს

თბილისი. 5 მაისი. 17 საათი. ოლიმპიკი

სპარტაკი — ტორპედო (0:2)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე; ა. შილაკაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი — ა. ...



როლანდ ჩხაიძე

„სპარტაკს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, სეზონის ბოლომდე და, ალბათ, მერეც გუნდს ბესიკ შეროზია გაწვრთნის.

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. გუშინდელ კრებაზე კლუბის პრეზიდენტმა ხურცილავას შემცვლელად გიგლა იმნაძე დაასახელა, თუმც ამ დილით შევიტყვე, რომ „სპარტაკს“ ბესიკ შეროზია გაწვრთნისო, გვითხრა გუშინ „სპარტაკის“ უკვე ყოფილი მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას თანაშემწე ნოდარ აკობიამ. ბუნებრივია, გუშინ თავად მურთაზ ხურცილავასაც შევეხმიანეთ, თუმც ბატონმა მურთაზმა კომენტარზე უარი გვითხრა. ჩვენც, ვითარებაში გასარკვევად, „სპარტაკის“ პრეზიდენტს როლანდ ჩხაიძეს დავუკავშირდით...



მურთაზ ხურცილავა

პრეზიდენტმა თქვა შეტევის ერროზია. წამალი შეროზია

— ბატონო როლანდ, ითქვა, „სპარტაკს“ გიგლა იმნაძე გაწვრთნისო. გადაწყვეტილება რატომ შეცვალეთ?

— დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, გუნდს ბესიკ შეროზია უხელმძღვანელებს, გიგლა იმნაძე კი მისი თანაშემწე იქნება. მურთაზ ხურცილავა კვლავაც ჩვენთან იმუშავებს და სასელექციო საქმეს გაუძღვება, ნოდარ აკობია კი „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობას ჩაიბარებს.

— რა მოსაზრებით შეცვალეთ მწვრთნელი?

— ვჯობს, ეს მურთაზ ხურცილავას ჰკითხოთ.

— ბატონი მურთაზი კომენტარზე უარს ამბობს...

— მაშინ მეც შევიკავებ თავს.

— ეს ცვლილება ვისი ინიციატივა იყო, თქვენი თუ ხურცილავასი?

— მე პრეზიდენტი ვარ და, ბუნებრივია, ინიციატივაც ჩემგან მოდიოდა.

— თუ ასეა, მაშინ ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა არ უნდა გაგიჭირდეთ...

— მურთაზ ხურცილავას დიდ პატივს ვცემ როგორც მწვრთნელს და პიროვნებას, ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო და მოხარული ვარ, რომ ისევ ჩვენთან იმუშავებს, თუმც გუნდს ბესიკ შეროზია უხელმძღვანელებს. შეროზიასთვის არ მითქვამს, გინდა თუ არა, უმაღლესში დატოვე გუნდიო, მას არანაირი პასუხისმგებლობა არ აკისრია.

— კი მაგრამ, თუ პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას, ხურცილავა ვერ ჩაამთავრებდა სეზონს?

— ბატონ მურთაზს სხვა შეხედულება აქვს ფეხბურთზე, მე კი სხვაგვარად ვუყურებ თანამედროვე ფეხბურთს.

— გამოდის, მწვრთნელ-პრეზიდენტის შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა...

— ზოგიერთ საკითხში არ დაემთხვა.

— კონკრეტულად რაში?

— მე შემტევი ფეხბურთი მომწონს. ვთვლი, რომ საუკეთესო დაცვა თავდასხმაა. ხურცილავას გაწვრთნილ გუნდში კი არ იყო შეტევა, არ იყო გოლი.

— ბესიკ შეროზიაზე რა მოსაზრებით გააკეთეთ არჩევანი?

— ბესო უკვე ერთი წელია, ჩვენთანაა. იგი ადრე „ლაზიკას“ ხელმძღვანელობდა და წარმატებითაც —გუნდს უმაღლესი ლიგის საგზური მოუპოვა. კმაყოფილი ვარ მისი შრომისმოყვარეობით და ცოდნით. აქამდე „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობას ედგა სათავეში და გუნდს თავისი ხელი დაატყო. შეროზიას B კატეგორიის მწვრთნელთა სალიცენზიო გამოცდები წარჩინებით აქვს ჩაბარებული და ვფიქრობ, თუ უცხოეთშიც გაივლის სასწავლო პრაქტიკას, რაშიც ხელს შევუწყობ, კარგი მწვრთნელი დადგება. ძალიან პერსპექტიულია, თანაც აბსოლუტურად ერთნაირი შეხედულება გვაქვს თანამედროვე ფეხბურთზე. ამიტომაც ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

— „სპარტაკს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება უმაღლესში დასარჩენად. თუკი ეს ვერ შეძლო, შეინარჩუნებთ გუნდს?

— აუცილებლად, „სპარტაკი“ ახალგაზრდული, დიდი პოტენციის გუნდია. ორი წელია, ვარსებობთ და პირველივე სეზონში თასის მეოთხედფინალში გავედით, ახლა ნახევარფინალში ვართ, ეს ცოტას არ ნიშნავს. თანაც ჩვენი გუნდის ექვსი ფეხბურთელი სხვადასხვა ნაკრების წევრია. ამიტომაც არ დავშლი გუნდს, თუ დავრჩით უმაღლესში, გარწმუნებთ, მომავალ სეზონში სამეულისთვის მებრძოლი გუნდი გვეყოლება, თუ არა და, პირველ ლიგაშიც შევინარჩუნებთ ძირითად ბირთვს და ისევ დავბრუნდებით.

პაატა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა ჯამარაული დონეცკში დამთავრდება!

როგორ გაგრძელდება ქირესი?

ჯამარაულის პასი, დემეტრაძის გოლი — ხშირად წერენ და ამბობენ ჩვენი უკრაინელი კოლეგები. დონეცკის „მეტალურგის" ქართველები კლუბში ხომ საუკეთესოებად ითვლებიან და, უკრაინის ჩემპიონატშიც გამორჩეულნი არიან, გოჩა ჯამარაული ასისტენტობით, გიორგი დემეტრაძე ბომბარდირობით. კვირასაც ასე იყო, დონეცკელებმა ზაპოროჟიეს „მეტალურგს" უმასპინძლეს და 4:2 დაამარცხეს. ერთი გოლი დემეტრაძემ გაიტანა — ჯამარაულის დაწყებული საქმე შედეგიანად დასრულა. თავად ჯამარაულმა კი ერთი საგოლე პასიც გააკეთა და მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს

— თამაში უკვე გაკეთებული იყო, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შანსიც არ ჰქონდა და მწვრთნელმა დამასვენა — გვითხრა გუშინ გოჩა ჯამარაულმა — მომავალ ტურში „დნიპროს" ვსტუმრობთ, ძალიან პრინციპული თამაში იქნება და მწვრთნელმაც ალბათ ტრავმას ამარიდა.

— „დნიპროს" მესამე ადგილისთვის ველარ შეებრძოლებით?

— ეს თამაში რომც მოვუგოთ, ვეჭვობ, „დნიპროს" გადავუსწროთ — ათი ქულით ჩამოვრჩებით. ჩვენ ახლა მეოთხე ადგილისთვის ვიბრძვით, „ზაპოროჟიეს" დამარცხებამ მნიშვნელოვანი სამი ქულა შეგვმატა და „დნიპროსაც" თუ ვაჯობეთ, მეოთხე ადგილს ალბათ ველარავინ შეგვეცილება.

— და სეზონის წინ დასახულ მიზანს შეასრულებთ?

— სეზონის წინ ხელმძღვანელობამ უეფას თასის საგზურის მოპოვება მოგვთხოვა. ამ საგზურს კი მესამე-მეოთხეადგილოსნები იღებენ. დიდი მნიშვნელობა არც აქვს, „დნიპროს" გადავასწრებთ თუ არა, მთავარია, ცხრილში სხვა გუნდს არ ჩამოვრჩეთ.

— უკრაინაში რას ამბობენ, გახდება კიევის „დინამო" ჩემპიონი?

— სასწაული უნდა მოხდეს, „დინამოს" „შახტარმა" აჯობოს. კიეველები ჩემპიონები ფაქტობრივად მაშინ გახდნენ, როცა „შახტარი" დონეცკში დაამარცხეს.

— „ზაპოროჟიესთან" მერამდენე შედეგიანი პასი გააკეთე?

— არ ვიცი, არ დამითვლია, თუმც ის ვიცი, რომ დემეტრაძემ მე-13 გოლი გაიტანა და ბომბარდირებში ისევ საუკეთესოა. სეზონის ბოლომდე ერთ-ორ გოლსაც მოასწრებს. ვფიქრობ, დემეტრაძე უკრაინაში საუკეთესო თავდამსხმელია.

— ამბობენ, გიორგი სეზონის ბოლოს რუსეთში წასვლას აპირებსო...

— კი, რუსული პრემიერლიგის რამდენიმე გუნდი იწვევს და საბოლოო პასუხს ალბათ მალე მოიფიქრებს. ჯერ თავადაც არ იცის, წავა თუ დარჩება.

— შენ არ აპირებ გუნდის გამოცვლას?

— არა მგონია, სხვა გუნდში გადავიდე, სამაგისო ასაკი აღარ მაქვს და ალბათ კარიერასაც „მეტალურგში" დავამთავრებ.

— ეს უკვე გადაწყვიტე?

— ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ.

— საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას ფიქრობ?

— პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგია, ჟირესს ეტყობა, რომ საქმის მცოდნეა, ნაღდი პროფესიონალი. რაც მას სურდა, ის თითქმის გავაკეთეთ, მისი ნათქვამ-ახსნილი კარგად გავიგეთ. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ჟირესთან ერთად სულ ორი დღე ვიყავი და მის ღირსებებზე ბევრსაც ვერაფერს ვიტყვი. ერთი თამაშით, ალბათ, თვითონაც გაუჭირდებოდა ფეხბურთელებზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა.

ქობა ინასარიძე

გოჩა ჯამარაული „მეტალურგში" წონიანი კაცია



ივოს მადლობა და მადლობა ივოს

ივო შუშაკმა თავისი კომუნიკაბელურობის, არაორდინალურობის და ქართული ხასიათის შეცნობის ბოლო აკორდიც კეთილხმოვნად ჩაამთავრა. მან ქართულ მედიასთან დამშვიდობება ჩვენთვის ტრადიციულ ფორმებში არჩია. რესტორან „ძველ სახლში" ჟურნალისტებს უხმო და ჭიქით ხელში ქართულ ფეხბურთზე მოფიქრალთ ალალი მადლობაც უთხრა. საქართველოს დატოვება უჭირს ივო შუშაკს და აკი თვალცრემლიანმა თქვა: „ცოლ-ქმარიც, საყდარში ჯვრისწერისას, ფიცს დებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებენ ერთმანეთს, მაგრამ დრო გადის, სიყვარული ზოგჯერ სადღაც ქრება და ყოველგვარი სინანულის გარეშე შორდებიან. მე „დინამოსთან" განშორება ძალიან მიჭირს, მიჭირს საქართველოსთან და ქართველებთან განშორება იმიტომ, რომ ასეთი სითბო, სიყვარული მხოლოდ თქვენ იცით. საქართველომ მე ცხოვრების ულამაზესი წლები მაჩუქა. ჩემი გული თქვენთან რჩება. სიყვარულს ვერაფერს უზამ, მე, უფრო სწორად, ჩემი გული, ისე ვერ გაძლებს, რომ წელიწადში ორჯერ მაინც არ გესტუმროთ. დიდი მადლობა უდიდესი სითბოსთვის და იმ თანადგომისთვის, რასაც თქვენგან, ჟურნალისტებისგან, გულშემატკივრებისგან და საერთოდ, ქართველებისგან ყოველთვის ვგრძნობდი".

მაშ ასე, ივო შუშაკი საქართველოს ოფიციალურად დაემშვიდობა, სამშობლოში იგი ხვალ გაემგზავრება, საქართველოს კი რუსთა ძლევის შემოქმედის, ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის, ესენგეს თასის გამარჯვებულის, დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის რანგში ტოვებს. ეს უკანასკნელი წოდება სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა ივო შუშაკს გუშინ მიანიჭა.

დავით ერაძე

სმერტინს დიდი სივრცე აჩუქეს

თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების აპრილის საუკეთესო ფეხბურთელი რუსეთის ნაკრებისა და ინგლისური „პორტსმუთის" ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი გახდა. „სპორტ-ექსპრესის" ყოველთვიურ გამოკითხვაში საქართველოდან ამჯერზე გაზეთი „ოლიმპი" მონაწილეობდა.

წინა თვის დარად, ქულა ვერც ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ვერ მიიღო და საერთოდაც, აპრილი შედეგების მხრივ ყველაზე დაძაბული თვე გამოდგა. თავად განსაჯეთ, პირველადგილოსანმა სმერტინმა ოდენ ორი ქულით გაუსწრო როტორელმა ვალერი ესიპოვს, ვისაც კუდში ასევე რუსი, ტორპედოელი ალექსანდრ პანოვი მიჰყვა.

პოსტსაბჭოურ სივრცეში სმერტინის არადამაჯერებელ გამარჯვებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ მას მხოლოდ სამმა, ყაზახურმა „რგოსპორტმა", რუსულმა ოერტემ და თურქმენულმა „თურქმენდოვლეტჰაბარლარიმ" მისცეს პირველი ადგილი. არადა, საბოლოო ჯამში მეოთხეზე გასულ ბელარუს ალექსანდრ გლებს ასეთი პატივი ხუთი გამოცემისგან ერგო. თუმც, სმერტინს პრიზი არ ეკუთვნოდაო, ამასაც ვერ ვიტყვით — აპრილში მისმა „პორტსმუთმა" ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა. აქედან სმერტინი ორჯერ დაასახელეს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად, თანაც გუნდმა პრემიერლიგაში დარჩენა გაინაღდა.

და კიდევ, სმერტინს გამარჯვება დაბადების დღეს, 1 მაისს ამცნეს, რამაც ფეხბურთელი ძალიან გაახარა და ეს ათქმევინა: „ბედნიერი ვარ, რომ ასე დამაფასეს. ეს აღიარება ჩემთვის ბევრს ნიშნავს".

მაისის გამოკითხვაში კი მონაწილეობას გაზეთი „სარბიელი" მიიღებს და შედეგებსაც, ცხადია, თვის ბოლოს გამცნობთ.

ქახა ზალამბერიძე

ალექსეი სმერტინი

სპორტ-ექსპრესის გამოკითხვა

თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

აპრილი						
ალექსეი სმერტინი (რუსეთი)	3	4	2	1	-	39
ვალერი ესიპოვი (რუსეთი)	2	2	6	-	1	37
ალექსანდრ პანოვი (რუსეთი)	2	5	-	1	4	36
ალექსანდრ გლები (ბელარუსი)	5	1	-	2	1	34
მარის ვერპაკოვსკისი (ლატვია)	-	2	3	5	3	30
ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)	2	1	2	2	2	26
ვალერი კარპინი (რუსეთი)	1	-	3	4	1	23
არტურ პეტროსიანი (სომხეთი)	1	1	-	1	4	15

პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1

СПОРТ ЭКСПРЕСС

საერთო ჩათვლა იანვარი — აპრილი	
შევჩენკო (უკრაინა)	233
კარპინი(რუსეთი)	150
სმერტინი (რუსეთი)	94
ვერპაკოვსკისი (ლატვია)	61
სიჩოვი (რუსეთი)	60
გლები (ბელარუსი)	58
ესიპოვი (რუსეთი)	37
დარასელია (საქართველო)	36
პანოვი (რუსეთი)	36
გახოკიძე (საქართველო)	31
ალენიჩევი (რუსეთი)	29
რომაშჩენკო (ბელარუსი)	28
არველაძე (საქართველო)	25
მოსტოვოი (რუსეთი)	24
ოვჩინიკოვი (რუსეთი)	24
იანკაუსკასი (ლიტვა)	16
პეტროსიანი (სომხეთი)	15
კალნინშსი (ლატვია)	3

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXX ტური

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	098	ჰიბერნიანი-პარტიკი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32

ავსტრია ბუნდესლიგა. XXII ტური

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	300	რაპიდი-კერნტენი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19

შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	322	კრინსი-შაფჰაუზენი	3,4	3,3	1,8	1,67	1,17	1,16
22.30	323	სიონი-ანიო	2,2	3,2	2,8	1,3	1,23	1,49
22.30	324	ივერდონი-ვოლენი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37

დანია. I დივიზიონი. XVI ტური

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	343	იოლსტიკე-ნორდიულანდი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		6 მაისი						
20.30	395	ალიანსი-ინტერი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
		7 მაისი						
20.00	396	ტურკუ-ჰიკ	3,1	3,3	2,05	1,59	1,23	1,26
20.30	397	ჰაკა-იარო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
20.30	398	ჰაამეენლინა-როვანიემი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.30	399	ჯაზი-ტამპერე	4,0	3,5	1,7	1,86	1,19	1,14
20.30	400	კტპ-მიუპა	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
20.30	401	ლაჰტი-ტპ 47	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1

ავსტრია. თასი. 1/2 ფინალი

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	613	შტურმი-აუსტრია	3,6	3,2	1,9	1,69	1,24	1,19

დანია. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩება

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	614	ოლბორგი-ბრიონდბიუ	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
21.00	615	ოდენსე-კოპენჰაგენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

თურქეთი. თასი. ფინალი

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	618	ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38

ხორვატია. თასი. ფინალი. I მატჩი

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.15	622	ვარტექსი-დინამო	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35

უნგრეთი. თასი. ფინალი

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	623	ფერენცვაროში-ჰონვედი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47

ჩემპიონთა ლიგა
1/2 ფინალი. II მატჩები

5 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	002	ჩელსი-მონაკო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09

უეფას თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები

6 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	003	მარსელი-ნიუკასლი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
00.45	004	ვალენსია-ვილიარეალი	1,55	3,4	6,5	1,06	1,25	2,23

ლიბერტადორესის თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		5 მაისი						
03.15	630	სან კაეტანო-ამერიკა	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
05.45	631	დეპორტივო-კრუზეირო	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
07.50	632	უნივერსიტარია-სანტოსი(ბრ)	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
		6 მაისი						
04.00	633	როსარიო-სან პაულო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
06.15	634	ბარსელონა-ონსე კალდასი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

შემდეგ ეტაპზე გასვლა

		5 მაისი		
23.45	7002	ჩელსი-მონაკო	2,5	1.32
		6 მაისი		
24.00	7003	მარსელი-ნიუკასლი	1,6	2,0
00.45	7004	ვალენსია-ვილიარეალი	1,25	3,0

I ტაიმის შედეგი

5002	ჩელსი-მონაკო	2,0	2,15	6,0	1,03	1,51,58
5003	მარსელი-ნიუკასლი	2,4	2,05	4,4	1,11,551,39	
5004	ვალენსია-ვილიარეალი	1,8	2,2	7,5	11,45	1,7

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5202 ჩელსი-მონაკო ------------- 1,8 --------------------- 1,8
5203 მარსელი-ნიუკასლი ------ 1,65 ------------------- 1,95
5204 ვალენსია-ვილიარეალი -- 1,7 --------------------- 1,9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5402 ჩელსი-მონაკო ------------ 1,45 -------------------- 2,8
5403 მარსელი-ნიუკასლი ------ 1,75 -------------------- 2,1
5404 ვალენსია-ვილიარეალი - 1,35 -------------------- 3,2

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5502	ჩელსი-მონაკო	3,0	2,8	2,0
5503	მარსელი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0
5504	ვალენსია-ვილიარეალი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

-------------------------- კი ------------------- არა
5302 ჩელსი-მონაკო ------------- 1,7 -------------------- 1,9
5303 მარსელი-ნიუკასლი ------ 1,65 ------------------ 1,95
5304 ვალენსია-ვილიარეალი -- 1,7 -------------------- 1,9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5102	ჩელსი-მონაკო	2,2	10,0	20,0	3,4	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
5103	მარსელი-ნიუკასლი	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	6,0	20,0	10,0	5,6
5104	ვალენსია-ვილიარეალი	2,1	10,0	20,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ნახევარფინალი. ორ მოგებამდე

მირტყამს, მასწავლებელო!

აყალმაყალი, თავზე საყარი

ბასკო 1:1 სტუ

4 მაისი. ვერის ბალი

სტუ 79:65 ბასკო

18:23 25:24 20:4 16:14

სტუ: ნიკოლაძე (12), ხეცურიანი (11), დავითულიანი, ბაბიაშვილი (25), ოგანესიანი (14); ჯაფარიძე (9), ახალკაცი (2), შანიძე (2), მიქაძე (2), მარკოიშვილი (2), გაგნიძე

ბასკო: ი. ბერიშვილი (15), ბოისა (5), კეშელავა (6), ტუჯანი (10), ბერძენიშვილი (20); ბ. ბერიშვილი (2), როდუმტა (2), კვიმსაძე (5), იმნაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

გუშინდელმა სტუ—„ბასკომ" რა აღარ დაიტია — ჩხუბი, გინება, გაძევება, მსაჯის, მერე კი გუნდის მიერ თამაშის გაგრძელებაზე უარი და ვინ მოსთვლის, კიდევ რა... მოკლედ, ისეთი აჯაფსანდალი იყო, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდი, ჩვენც ავდგეთ და ვერის ბალში მომხდარი სეირების აღწერა შუიდან დავიწყოთ.

პირველი ტაიმის დასრულებას ბევრიც აღარაფერი უკლდა, მსაჯი ზაზა მაჩალაძე ფედერაციის წარმომადგენლებთან რომ მივიდა, აგერ, ბატონი, ეს სასტვენი, რაც გინდათ, ის ქენით, მე ასეთ დომხალში ვერ ვიმსაჯებო. მაჩალაძემ, ასე ვთქვათ, კონტრრეაქციით უპასუხა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს, რომლის წევრებიც ცოფებს ყრიდნენ მსაჯის არაობიექტურობის (მათი აზრით) გამო.

კერძოდ, მაჩალაძემ ის-ის იყო მოედნიდან ტექნიკოსთა ლიდერთაგანი ირაკლი ჯაფარიძე გააძევა, რითაც სტუ ვერავისგან გაჩერებული დავით ბერძენიშვილის მყოლ „ბასკოსთან" ფაქტობრივად უშანსოდ დატოვა. მაგრამ მხოლოდ ამაზე როდი ცხარობდნენ ტექნიკოსები, რამდენიმე წუთის წინ მათ მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილიც გაუძევა მაჩალაძემ, აქაოდა, ჩემს კომპეტენციაში ნუ ერევიო.

სანამ მატჩის ორგანიზატორები მაჩალაძეს არწმუნებდნენ, მიდი, იმსაჯეო, ადგა სტუ და მოედნიდან გასახდელში გაუჩინარდა, ეგეთ მსაჯობას რა ვუთხარი, თავში ქვა გიხლიათო. ატყდა ერთი ფაცაფუცი, ტექნიკოსებს შესაბამისი ხალხი მოედანზე უხმობდა, აქეთ „ბასკოს" უფროსობა იყო აღშფოთებული, გაგიგონია ეგეთი უხეშობა, ირაკლი ჯაფარიძის გამოსწორება არ იქნებაო... აქვე გეტყვით, რომ ჯაფარიძე მოედნიდან დავით ბერძენიშვილთან კინკლაობისთვის გააძევეს, თუმც მოედანზე შევარდნილი ხალხი რომ არა, ეს კინკლაობა ალბათ დიდ ჩხუბში გადაიზრდებოდა. გაძევებულ ჯაფარიძეს უკან ბასკოელი ბუბა ბერიშვილიც მიაყოლეს, რომელიც თანაგუნდელს გამოესარჩლა, თავად ბერძენიშვილი კი არ აჰყვა ჯაფარიძეს ხელების ქნევაში.

ამ ორომტრიალში სტუ-ელები ისევ მოედანს დაუბრუნდნენ, გასახდელში მათ ალბათ იმ სანქციების შესახებ მოისმინეს, თამაშის მათი მიზეზით ჩაშლის შემთხვევაში რომ ელოდათ. ბურთს ხეირიანად არც შეხებიან, და ტაიმიც დამთავრდა, მერე კი საიდუმლო სერობის ჟამიც დადგა, რამაც ბათუმელთა გაღიზიანება გამოიწვია.



თამაშიდან გაგდების შემდეგ სტუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ტრიბუნიდან განაგრძო შეგირდების დამოძღვრა

მსაჯთა ოთახში არბიტრთა გარდა მატჩის კომისარი, ფედერაციის პრეზიდენტი და სხვა მოხელეები შევიდნენ. იქ რა ითქვა, ვერ მოგახსენებთ, ხოლო თავად ამ თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ მატჩის კომისარმა როლანდ გელოვანმა გვითხრა, მსაჯებს მოვუწოდებდით სიმშვიდისა და ნერვების მოთოკვისკენ, თამაშის მონაწილენი ძალიან აგზნებულები იყვნენო.

ფედერაციის მესვეურთა შეგონებამ მართლაც იმოქმედა მსაჯებზე, ისინი უწინდელზე მშვიდად გავიდნენ მოედანზე, ოღონდ ახლა მეორე მხარე გადაიკიდეს. „ბასკოს" მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს თამაშის ბოლოს ადამიანის სახე არ ჰქონდა, კარგი, ჩემმა გუნდმა ცუდად ითამაშა მე-3 მეოთხედში, მაგრამ იმას რა დავარქვა, მსაჯებმა მთელი ათი წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ რომ დააჯარიმეს სტუ-ელებიო.

ბათუმელებმა მართლაც საშინლად ითამაშეს მესამე მეოთხედში, პირველი ბურთი მხოლოდ მაშინ ჩააგდეს, 10-წუთეულის დასრულებამდე 38 წამი რომ რჩებოდა. სტუდენტებმა კი მანამდე 18 უპასუხო ქულა მოიმკეს და საპირველტაიმო 4-ქულიანი ჩამორჩენა 14-ქულიან უპირატესობად აქციეს.

რა ხდებოდა მესამე მეოთხედში? როგორ ვერ ჩააგდო „ბასკომ" 9,22 წუთის განმავლობაში ბურთი? დიდი არაფერი, ჩვეულებრივი თამაში იყო, ორივე გუნდი უტევდა, ოღონდ ბათუმელთა სროლები კალათში არ ვარდებოდა. ათი წუთის განმავლობაში „ბასკომ" ოცამდე გარღვევა მაინც მოაწყო სტუ-ს საჯარიმოში, მაგრამ უხისტეს ბრძოლაში, სტუდენტებთან ნაჯაჯგურევი ბათუმელები მიზანში ვერ არტყამდნენ. სწორედ ამას ჩიოდნენ ზღვისპირელები ნამატჩევს, სტუ-ს ფარქვეშ ხელებში ჩარტყმა ჩვეულებრივი ამბავი იყო, მსაჯები კი ყურს არ იბერტყავდნენ სტუ-ელების უხეშობაზეო...

ისე, გაუგებარია, რა დაემართა პირველ ტაიმში გამართულად მოთამაშე „ბასკოს", მეორეში ხელი რომ ვერ გაანძრია და თამაში საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე წააგო. ალბათ არ შეიძლება, ადგეს მანამდე ჩინებულად მოთამაშე ცენტრი და მთავარი ოპონენტის მოედნიდან გაძევების შემდეგ მეტოქის სამარქაფო მეფარეს თავი პირწმინდად დააჩაგვრინოს. თუმც ეს სპორტია და ყველაფერია მოსალოდნელი.

ეს ქართული კალათბურთია...

ირაკლი პერტაია

საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

სტუ-შევარდენი 44:27 მართვე

სტუ-შევარდენი: ანდრიაძე, კობახიძე (გაიტანა 11 გოლი), ნადირაძე (9), კალანდაძე (8), ჯიშკარიანი (7), არაბული (4), ქობელაშვილი (3), ყიფიანი (1), ჩუბინაშვილი (1), სეთურიძე, სიხარულიძე, ნატროშვილი, სიამაშვილი

მართვე: ბიჩინაშვილი, ბერძენიშვილი (8), კვერნაძე (6), ქირია (3), მსხვილიძე (3), ჯორბენაძე (2), სხიერელი (2), ცერცვაძე (1), გრიშიკაშვილი (1), საჯაია (1), სიგუა, ბგლაძე, სამყურაშვილი, დარჩიაშვილი

მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

თბილისი 34:30 ქუთაისი

თბილისი: გონჩაროვი, სამარღანიშვილი (12), არსენაშვილი (6), ფორაქიშვილი (6), სიორიძე (6), ჩხაიძე (3), ურუშაძე (1), რუხაია, ხურციძე, აბულაძე, ჟღენტი

ქუთაისი: ხინგავა, ბოყოჩაძე (15), გობეჯიშვილი (3), გოგონაძე (3), მამასახლისი (3), კუჭუხიძე (3), შათირიშვილი (2), გაბედავა (1), ნიქაბაძე, ხარაიძე, აბულაძე, შარაშენიძე, გურაბანიძე, დოლაკიძე

მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

მსაჯობამ ნერვებს აჯობა

წესრიგის ექსპორტი აზერბაიჯანიდან

ჯერ ყველაფერი ნორმალურადაა იმ პოპულარული ფილმისა არ იყოს, როცა ბიჭი ცათამბჯენიდან გადმოხტა, ქვევით მოფრინავდა და გზადაგზა იმეორებდა, ჯერ ყველაფერი ნორმალურადააო, ჩვენც ასეთ დღეში ვართ. ოღონდ ცხადია, კეთილი ფინალის იმედით.

გუშინ, მეორე ტურში იყო ერთი ისეთი თამაში, ფეთქებადი რომ ეთქმის. „ქუთაის"—„თბილისის" დაპირისპირება გვაქვს მხედველობაში. მთელი მატჩი ბურთი-ბურთში მიდიოდა, ძალიანაც დაძაბული იყო და სტუმარი აზერბაიჯანელი არბიტრები რომ არა, ვინ იცის, როგორ ჩამთავრდებოდა. მარტო სიტყვიერ შეხლა-შემოხლას არ ვგულისხმობთ, საქმე იქნებ ხელის გაქნევამდეც მისულიყო.

საბედნიეროდ, კონფლიქტი არ მომხდარა, ხოლო რაც შეეხება შედეგს, ქუთათურებმა დიდი მცდელობის მიუხედავად, ქულის გადარჩენაც ვერ შეძლეს, თუმც არც ისე შორს იყვნენ მიზანთან. ტაიმიც 18:16 მოიგეს და შესვენების შემდეგაც კარგა ხანს წინ იყვნენ, მაგრამ ფაქტობრივად ერთკაცა (ალეკო ბოყოჩაძე) გუნდი შარშანდელ ვიცეჩემპიონთან ვერაფერს გახდა.

ამირან ყიფიანს ჩემპიონთა მორიგი გოლი გააქვს

მსაჯებს დავუბრუნდეთ. თუნდაც ახლო უცხოეთიდან არბიტრების მოწვევა ძვირი სიამოვნებაა, თუმც ყოველმხრივ მომგებიანი, რადგან წინა პირველობისა არ იყოს, საგინებლად განწირული ჩვენებივით სანთლით საძებნელები არ არიან და ვერც რომელიმე კლუბისკენ მიკერძოებას დასწამებს ვინმე. ბოლოში და ჩვენი პრობლემები იმათ ფეხებზე ჰკიდიათ.

საბურნირო ვითარება					
სტუ-შევარდენი	2	0	0	88:50	4
თბილისი	1	0	0	34:30	2
მართვე	1	0	1	62:77	2
საუ-მამული	0	0	1	33:35	0
ქუთაისი	0	0	2	53:78	0

2004 NBA Playoffs

განა შეგვრჩებოდა?!
დეტროიტს შარშანდელი ახსოვს

— 3 მაისი —

აღმოსავლეთი

დეტროიტი 1:0 ნიუ ჯერსი

დეტროიტი 78:56 ნიუ ჯერსი

დეტროიტი: ბილაფსი (6), ჰამილტონი (15), პრინსი (15 ქულა, 10 მოხსნა), რ. ვოლესი (8), ბ. ვოლესი (13 ქულა, 11 მოხსნა); ოქური (6), კემპბელი (4), ჰანტერი (3), უილიამსონი (3), ჯეიმსი (3), ჰემი (2), მილიჩიჩი.

ნიუ ჯერსი: კიდი (9), კიტლზი (15), ჯეფერსონი (8), მარტინი (11), კოლინზი; ჰარისი (9), სლეი (2), როჯერსი (1), პლანინიჩი (1), უილიამსი, არმსტრონგი, სკალაბრინი

პლეი ოფებში, თან არცთუ ისტორიამდელ წარსულში უარესიც მომხდარა. ასე რომ, „ნიუ ჯერსის“ თავიც გამოეყოფა და კუდიც. მას შემდეგ, რაც 1998 წელს ფინალური სერიის ერთ თამაშში „იუტამ“ „ჩიკაგოსთან“ მხოლოდ 54 ქულა შეაკოწიწა და საპლეიოფო თამაშების ანტირეკორდის თამასა წარმოუდგენლად დაბლა დასწია, უკბილო გუნდები მშვიდად გადიან მოედანზე. დანა პირს რომ არ უხსნიდეთ, ბურთი ხელიდან უვარდებოდეთ, ახალი დო-ნაყლაპები იყვნენ და სულ რომ არ გახლდნენ თამაშის გუნებაზე, ამ ანტირეკორდს ვერ გააუმჯობესებენ. სხაფრივ კი ერთი თამაშის წაგება და სერიის წაგებას არ ნიშნავს.

თუ „ნიუ ჯერსის“ ზაფრა გადაუვლის და ჩვეულ თავხედობას დაიბრუნებს, საინტერესო სერია უნდა გამოვიდეს, თუ არა და „დეტროიტის“ დაცვა ისე ჩაკლავს 2002-03 წლების საუკეთესო აღმოსავლელის შეტევას, როგორც ეს გუშინწინ დაგვანახა.

არადა, „იუტას“ ანტირეკორდის დამხობის „საფრთხე“ უკვე პირველ ნახევარში დადგა, როცა გაუვალმა „დეტროიტმა“ ორგზის ვიცე-ჩემპიონს დიდ შესვენებამდე ოდენ 25 ქულის ჩაგდების უფლება უბოძა. ეს უკვე ყველა დროის საპლეიოფო რეკორდი გახლავთ პირველი ტაიმებისთვის და სტუმრებიც შეფუცხუნდნენ, არიქა, რამე ვილონოთო. მატჩის ხსნის იმედით კიდევ ჰქონდათ, რაკი შეტევაში არც „დეტროიტს“ ულხინდა და ტაიმში ასევე არცთუ ბევრის, 37 ქულის მოხვეჭის შემდეგ მხოლოდ 12-ქულიანი უპირატესობით შეიმარაგებდა თავს.

მაგრამ „ნეთსმა“ ვერც მესამე მეოთხედში გააკეთა რაიმე ღირებული. ამ 12-წუთეულში 14 ქულა მოინგრა და უკვე 18-ით ჩამორჩენილმა ხელიც ჩაიქნია მოგებაზე. სტუმრები იმასღა ცდილობდნენ, პირველ სამ მეოთხედში ოდენ 39 ქულის შეკოწიწების შემდეგ „იუტას“ შედეგი აღარ გაემეორებინათ. ეს მაინც მოახერხეს — 17 ქულა ბოლო განაკვეთში და „იუტასაც“ „შერჩა“ თავისი „მიღწევა“.

„დეტროიტმა“ კი ლამის აღმოსავლეთ კონფერენციის ტირანისგან მხსნელად ჩათვალა თავი. „პისტონზის“ მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა თქვა, მთელ კონფერენციას სჭირდებოდა ეს გამარჯვებაო.

ისე, დეტროიტელებს სრული მორალური უფლება აქვთ, წაქცეულ „ნიუ ჯერსის“ სიტყვა წიხლივით მიაყოლონ. ჯერ არ დავიწყებიათ შარშანდელი, როცა აღმოსავლეთის ფინალში „ჯერსიმ“ „პისტონზი“ არ დაინდო და 4:0 განადგურებით გამოაგდო პლეი ოფიდან.

კოტე ყორშია

REUTERS დეტროიტიდან

ფოტო სიმბოლო: დეტროიტელი ნიუჯერსელს უფარებს

გარნეტს გარანტირებული ჩააბარეს

კევინ გარნეტმა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვა რომ მოიგო და სეზონის ყველაზე პრესტიჟული პირადული ჯილდო რომ ირგუნა, ამის თაობაზე გუშინ ვწერდით. დღეს კი ამ გამოკითხვის შედეგებს გთავაზობთ, რომელშიც თვალნათლივ ჩანს „მინესოტა ტიმბერვულვზის“ თავდამსხმელის უპირატესობა სხვებთან. 2002 და 2003 წლების გამოკითხვის რჩეული ტიმ დანკანი მეორე კი იყო, მაგრამ მას გამოკითხვაში საერთოდ არ მიუღია პირველი ხმა. გარნეტს კი 123 საკალათბურთო ჟურნალისტიდან 120-მა პირველი ხმა მისცა, ორმა მეორე და ერთმაც მესამე. სხვათა შორის, ერთი პირველი ხმა და ჯამში მეოთხე ადგილი შეხვდა „საკრამენტო კინგზის“ არაამერიკელ სნაიპერ პრედრაგ სტოიაკოვიჩს.

აღსანიშნავია, რომ „ორლანდოს“ ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ ბომბარდირთა დავაში ყველას აჯობა, მაგრამ გამოკითხვაში კინკილა ქულაც არავინ შეახვედრა.

კევინ გარნეტი (მინესოტა)	120	2	1	0	0	1219
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)	0	72	34	13	3	716
ჯერმენ ონილი (ინდიანა)	2	29	46	17	19	523
პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო)	1	8	16	34	33	281
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	0	7	14	22	27	212
შაკილ ონილი (ლეიკერსი)	0	5	11	23	19	178
ბენ ვოლესი (დეტროიტი)	0	0	0	5	9	24
ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)	0	0	0	5	2	17
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)	0	0	1	1	3	11
ბაირონ დევისი (ნიუ ორლეანი)	0	0	0	1	1	4
სემ კასელი (მინესოტა)	0	0	0	1	1	4
დირკ ნოვიცკი (დალასი)	0	0	0	1	1	4
ანდრეი კირილენკო (იუტა)	0	0	0	0	2	2
იაო მინგი (ჰიუსტონი)	0	0	0	0	1	1
მაიკლ რედი (მილუოკი)	0	0	0	0	1	1
კარმელო ენტონი (დენვერი)	0	0	0	0	1	1

პირველი ხმა — 10 ქულა, მეორე — 7, მესამე — 5, მეოთხე — 3, მეხუთე — 2

ნბა-მ ბობი და ბობქეთსი შეიძინა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ოფიციალურად შეემატა 30-ე კლუბი — „შარლოტ ბობქეთსი“. ამ კლუბის მფლობელმა ბობ ჯონსონმა, რომელიც სხვათა შორის, ნბა-ში კლუბის პირველი შავკანიანი მეპატრონეა, საწევრო 300 მილიონი გადაიხადა და 2004-05 წლების სეზონიდან დანარჩენ 29 გუნდს შეუამხანაგდება.

„შარლოტ ბობქეთსი“ ჩაეწერება აღმოსავლეთ კონფერენციის სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში და პირველ სეზონში სტუმრებს მიიღებს „შარლოტ ჰორნეთსის“ ყოფილ დარბაზ „შარლოტ კოლიზეუმში“. შეგახსენებთ, „ჰორნეთსი“ 2002 წელს აბარგდა ქალაქ შარლოტიდან და ნიუ ორლეანში გადასახლდა.

ყველა უძვირფასესი

1955-56	ბობ პეტიტი (სენტ ლუისი)
1956-57	ბობ კოუზი (ბოსტონი)
1957-58	ბილ რასელი (ბოსტონი)
1958-59	ბობ პეტიტი (სენტ ლუისი)
1959-60	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1960-61	ბილ რასელი (ბოსტონი)
1961-62	ბილ რასელი (ბოსტონი)
1962-63	ბილ რასელი (ბოსტონი)
1963-64	ოსკარ რობერტსონი (ცინცინატი)
1964-65	ბილ რასელი (ბოსტონი)
1965-66	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1966-67	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1967-68	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1968-69	ვეს ანსელდი (ბალტიმორი)
1969-70	ვილის რიდი (ნიუ იორკი)
1970-71	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1971-72	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1972-73	დეივ კოუენსი (ბოსტონი)
1973-74	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1974-75	ბობ მაკადუ (ბუფალო)
1975-76	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1976-77	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1977-78	ბილ უოლტონი (პორტლენდი)
1978-79	მოზეს მელოუნი (ჰიუსტონი)
1979-80	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1980-81	ჯულიუს ირვინგი (ფილადელფია)
1981-82	მოზეს მელოუნი (ჰიუსტონი)
1982-83	მოზეს მელოუნი (ფილადელფია)
1983-84	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1984-85	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1985-86	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1986-87	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1987-88	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1988-89	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1989-90	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1990-91	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1991-92	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1992-93	ჩარლზ ბარკლი (ფინიქსი)
1993-94	ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1994-95	დევიდ რობინსონი (სან ანტონიო)
1995-96	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1996-97	კარლ მელოუნი (იუტა)
1997-98	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1998-99	კარლ მელოუნი (იუტა)
1999-00	შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2000-01	ალენ აივერსონი (ფილადელფია)
2001-02	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2002-03	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2003-04	კევინ გარნეტი (მინესოტა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანტიას ქუჩქი შემრჩა

მასტერსის სერია
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

პირველი წრე. *3 მაისი*

ვინს სპადია (აშშ) — რაინერ შუტლერი (3, გერმანია) 6:2, 2:6, 7:5; ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5, 6:1; დავიდ ნალბანდიანი (5, არგენტინა) — რობი სოდერლინგი (შვედეთი) 6:4, 6:4; კარლოს მოია (6, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:2; პარადორნ შრიჩაფანი (10, ტაილანდი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 7:6 (7:2), 3:6, 6:3; სხენგ შალკენი (11, ჰოლანდია) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:3, 4:6, 6:1; ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (16, არგენტინა) 6:4, 6:2; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:1; რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:5, 4:6, 7:6 (7:4)

როცა ამ ორი კვირის წინ შარშანდელი სეზონის ერთ-ერთმა ყველაზე „განვითარებულმა“ მეჩოგნემ, 28 წლის გერმანელმა რაინერ შუტლერმა მონტეკარლოურ მასტერსფინალს უწია, მის ქომაგებს იმედი მიეცათ — ვინძლო, საამსეზონო ვაინაჩრობანი უკან მოიტოვაო. მაგრამ — თურმე სადა ბანაობ.

ერთგულ მილეთს შუტლერმა გული უკვე მონტეკარლობის მომდევნოვე კვირაში მოუკლა, როცა მიუნხენურ მეოთხედფინალში რუს ნიკოლაი დავიდენკოსგან იძლია. რომაული მასტერსტურნირის პირველსავე წრეში კი მან სულაც თავისზე ერთი წლით უფროს ამერიკელ ვინს სპადიასთან დათმო, ვინაც ხალასი სათიხნარო ტალანტით აქამდე არასოდეს გამორჩეულა.

ამგვარად — წლეულს ნათამაშები თერთმეტი ტურნირიდან რვაში შუტლერი ადრეწრეებშივე დაიფრინეს. რომში კი ის მეოთხედ გამოდიოდა და მეორე წრეში გასვლა უკვე მესამეჯერ ვერ შეძლო.

ახლა მის იმდღევანდელ მძლეველს რაც შეეხება.

ორიოდ აბზაცის ზევით მოგახსენეთ, ეგ კაცი აქამდე სათიხნარო ტალანტით არასოდეს გამორჩეულა-ჩვენთქი და ახლა ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამ სეზონამდე ვინს სპედიას რაგინდარა ღირებული საერთოდაც არაფერი მოუნაგრავს.

წლეულს კი ეს, საჩოგბურთო თვალსაზრისით უკვე შეჭარმაგებული ამერიკელი მეჩოგნე კარიერის საუკეთესო სეზონს თამაშობს. მან მარტის დასაწყისში სკოტსდეილურ მაგარსაფარზე პირველი საეტიპიო ტიტულიც კი მიითვალა — ეს მაშინ, როცა მანამდე 222 ტურნირზე გამოსულიყო. ჯამში კი წლეულს ნაგემი ცხრა მარცხის წილ ის უკვე 18 გამარჯვებას მოიძევს და ჩოგანწამოსაკრავ მოთამაშედ აღარავის ეთვლეინება. თავის ტყავზე ეს შუტლერმაც გამოსცადა, ვისაც მათი აქამომდელი ორი შეხლიდან ორივეში ემარჯვა.

პირველი წრე. *4 მაისი*

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:3, 6:2; როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:3; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 5:7, 7:5, 6:0

შარშანდელ მოულოდნელ ჩემპიონა და რომაული ტურნირის ორმოცწლოვან ისტორიაში პირველ განუთესავ გამარჯვებულ ფელიქს მანტიას გუშინ ოთხი მატჩბურთის მოგერიება მოუხდა საიმისოდ, რათა ტიტულის დაცვას პირველსავე წრეში არ შეშვებოდა.

წაგებული პირველი სეტის შემდეგ მანტიამ მეორე კიდევ უფრო საშინლად დაიწყო, მეტოქეს 1:5 ჩამორჩა და გასახდელში წასასვლელად უკვე მზად იყო. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ჯინეპრის ჩოგანი აუკანკადა, თავად მანტიას კი ამის შემხედვარე ძალი მოეცა და ბეწვის ხიდზე მდგომმა ჩარხის წაღმა შემოტრიალება შეძლო.

თუმცა დიდხანს გამძლები ის მაინც არ სჩანს და მისი ადრე თუ გვიან ჩაფლავება არც არავის გააკვირვებს. ეგ მით უფრო, რომ რომაული მასტერსობის ზედიზედ ორჯერ მოგება საერთოდაც ერთეულებს მოჰხერხებიათ და მანტიამდელი რვა ჩემპიონიდან ამგვარი რამ მხოლოდ ერთს გამოუვიდა.

გამარჯვებით დაიწყო მანტიას მიერ შარშანდელ ფინალში ძლეულმა როჯერ ფედერერმაც. მართალია, ამქრის ზეგარდმო პირველოსანს ძალზედ გაუჭირდა პირველ სეტში გაჯიქებული იონას ბიორკმანის გატეხვა, მაგრამ აიდოსტზე (ანუ ტაიბრეიკზე) მაინც იმარჯვა და მეორე სეტი მერე უკვე ციმციმ ჩაავრიალა. ძაან მიხარია, თუმც კი ქარიც ხელს გვიშლიდა და კორტიც კაი სლიპინა იყოო, ამბობდა ნამატჩევს ფედერერი და ასე დასძენდა — მეორე წრეში გამოცდილ ალბერტ კოსტას ვხვდები და ამიტომ თამაშის დიაღ გაუმჯობესება მიხამსო.

გუშინ საღამოსკენ ბევრი მატჩი დამთავრდა, რომელთა გამოც ხვალ მოგახსენებთ. დღეს კი ჩვენებური ირაკლი ლაბაძისა ვთქვათ, რომელმაც რაც რომ ინდიან უელსში აიწყვიტა, მას აქეთ ცნობილ მეჩოგნეთათვის ხათაბალად იქცა და თავადაც იოლად საცნობი გახდა. მცირე ტრავმის გამო ერთი კვირით შესვენებულმა ირაკლიმ რომში ჩოგნაობა მასზე მაღალრეიტინგოსანი არგენტინელის გასტონ გაუდიოს იოლი ძლევით დაიწყო და მეორე ეტაპში და მე-12 ნომრად განთესილ ჩილელ ნიკოლას მასუზე გავიდა.

ლევან კელაურაძე

გუშინ ერთკვირიანი შესვენების შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე რომის მასტერსტურნირზე დაბრუნდა და პირველივე წრეში თავისზე მაღალი კლასიფიკაციის მქონე გასტონ გაუდიოს საკმაოდ იოლადაც გაუსწორდა. არადა არგენტინელი იტალიაში ბარსელონური ტურნირიდან ვიცეჩემპიონის რანგში იყო ჩასული.

რომის მასტერსამდე ერთი მცირეოდენი ტრავმა მეც მოხდა. ჩოგბურთელთა მომასპინძლე სასტუმროში ადგილი გაჩნდა და ზოგიერთი სპორტსმენის დასახსნელად ადგილი კიდეც კი გახდა საჭირო. ლაბაძე რომში უკვე აალებულ სასტუმროში ჩავიდა. ირაკლის გაუდიოს ძლევისთანავე შევეხმიანეთ

ლაბაძეს გაუდიო გაუგდია

მარადიული ქალაქი ცეცხლში

ირაკლი ლაბაძე ბრალდებულის სკამზე

— საკმაოდ კარგად ვათამაშე და ისე მოვიგე, არც გამჭირვებია. მეტოქისგან წინააღმდეგობა ისეთი ვერ ვიგრძენი, რასაც ველოდი.

— როგორ ფიქრობ, რა იყო ამის მიზეზი?

— გაუდიომ რომამდე ბარსელონას ტურნირი ითამაშა და ფინალშიც გავიდა. აქ კატალონიასთან შედარებით სწრაფი კორტებია და შიძლება, მან ამასაც დააბრალოს.

— შენ რას მიიჩნევ გამარჯვების უმთავრებს მიზეზად?

— მონდომებას და სწორ ტაქტიკას. გადავწყვიტე შეტევისა და ზედმეტი აქტიურობისგან თავი შემეკავებინა. პირველ მოწოდებასაც ნაკლებად ძლიერად ვურტყამდი და შესაბამისად, შედეგიანადაც. თან ყველა ბურთზე გავრბოდი და ალბათ გაუდიო ამითაც გატეხე. მეორე-მესამე გადაგდებას უკვე ველარ უსწრებდა.

— ბარსელონას ტურნირი ტრავმის გამო გაგიცდა. ტკივილები საბოლოოდ მოირჩინე?

— ვარჯიში 4 დღეა, განვაახლე. არც ვარჯიშზე და არც უშუალოდ თამაშზე ტკივილებს თავი არ შეუხსენებია. ექიმების მიმართ მადლობის მეტი აბა რა მეთქმის.

— ანგარიშიდანაც ჩანს შესვენების შემდეგ დაბრუნება არ გაგჭირვებია...

— ცოტა ძნელი კი იყო, მაგრამ თამაშის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ გამარჯვება შეიძლებოდა.

— შემდეგ წრეში ჩილელ მასუს ხვდები. მოიგებ?

— წინასწარ არაფერს ვიტყვი. რომ გითხრათ, მოვუგებ მეთქმი, აუცილებლად წავაგებ. მასუ მეთორმეტე ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კვალიფიკანტ იტალიელს სძლია.

— ბოლოს რომაულ სასტუმროზეც გვითხარი: ხანძარში შენც ხომ არ მოყოლილხარ?

— საბედნიეროდ გადავრჩი. 3 საათი დავაგვიანე ჩამოსვლა და კიდევ კარგი. ჩემი ბედი რომ ვიცი, ცეცხლის გაჩენაც მე დამბრალდებოდა და სასტუმრო მთლიანადაც დაიწვებოდა.

ოთარ მაღლაკელიძე

გუშინ დოლიძეებისა ფოტო

ევროსაბჭო გვამოწმებს

რას შვრება თქვენთან დოპინგი?

მეორე დღეა, თბილისს ევროსაბჭოს ექსპერტები სტუმრობენ. ლიტველი რიმა ბერლოვინი, თურქი ყისმეთ ერკინერი და ფრანგი სტენ ფროსარდი საქართველოში სპორტული მედიცინის ასოციაციის მოწვევით ჩამოვიდნენ, რათა აქაური სპორტული მედიცინის დღევანდელი მდგომარეობა შეისწავლონ.

ევროსაბჭოურ სამეულს თითქმის ყველა თბილისური სპორტული თუ სამედიცინო ბაზა — დაწესებულებების მონახულება დაუგეგმავს. ბოლოს კი სტუმრები ქართული სპორტის თავკაცებს რეკომენდაციებსაც დაუტოვებენ, რომელთა მიხედვითაც მთავრობას ახალ მოთხოვნებს წაუყენებენ. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე მნიშვნელოვანი ამჯერად სტუმართათვის უფრო კონკრეტული პრობლემაა. „ჩამოვედით, რათა ვნახოთ, როგორ ებრძვით დაპინგს“ — განაცხადა ყისმეთ ერკინერმა.

გუშინდელი დღის გეგმაში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ოლიმპიურ კომიტეტში ვიზიტებიც შევიდა. ორივეგან დაახლოებით თითოსაათიანი მოლაპარაკებები შედგა. ძირითადი სასაუბრო თემა საქართველოში სრულფასოვანი სამედიცინო ცენტრის არარსებობა იყო. ერკინერმა დეპარტამენტის თავკაცებს სპორტსმენებისთვის დოპინგ-ტესტების თურქეთში ჩატარება შესთავაზა, თუმც იმხელა ფასი დაასახელა, რუსეთსა და გერმანიაში ორ სპორტსმენს რომ ეყოფა.

ირაკლი მეძმარიაშვილის სიტყვებით, ლაბორატორიის მთლიანი კომპლექტაცია 3 მილიონ დოლარამდე ჯდება. ცალკე საქმეა ლიცენზიის მიღება, რაც ევროპაში სულ რამდენიმე ქვეყანას ჰქონია. „დღეს ისეთმა ფასებმა გაიჟღერა, შეიძლება კონკურენციისაც კი ეშინოდეთ. თუ ჩვენ სრულფასოვანი ლაბორატორია გავხსენით, მომსახურება გაცილებით იაფი იქნება“ — თქვა დეპარტამენტის თავკაცმა.

სტუმრებიდან საქმიანი შეხვედრების შეჯამება რიმა ბერლოვინს ვთხოვეთ:

„ჯერ დასკვნების გაკეთება ძალიან ადრეა. საქართველო ანტიდოპინგო და საერთოდ სპორტული მედიცინის საკითხებში პირველ ნაბიჯებს დგამს. წინ უამრავი საქმეა. იმედია, ერთობლივი მუშაობით სასიკეთო ძვრებს მალევე შევნიშნავთ.“

დღეს სამეული ობიექტების მონახულებას განაგძობს, საღამოს კი კულტურისა და სპორტის მინისტრსაც შეხვდებიან და პრესკონფერენციასაც ჩაატარებენ.

ოთარ მაღლაკელიძე



ალექსანდრ პერვუხინი:

ქართველებმა ციმბირი დაიპყარით

ჩამოთბა რუსეთში. მორაგბეებიც კარსმომდგარი ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ჩვენს ჩრდილო მეზობელ სახელმწიფოში დღესდღეობით სამი გუნდია ძლიერი — მოქმედი ჩემპიონი მოსკოვის „ვვა“, კრასნოიარსკის „ენისეი-სიბტიაჟმაში“ და ამ გუნდის თანაქალაქელი და მარადი მეტოქე „კრასნი-იარი“. ძირითადი ქიშპობაც სწორედ ამ სამ კლუბს შორის მიმდინარეობს. კრასნოიარსკის გუნდები ჩვენთვის იმიტომ არიან საინტერესო, რომ იქ ქართველი ლეგიონერების მთელი არმია თამაშობს. „ენისეიში“ რატი ურუშაძე, მიხეილ სუჯაშვილი და ირაკლი ნინიძე ითამაშებენ. „კრასნი-იარმაც“ ერთბაშად რამდენიმე ქართველი შეიმატა და ამბობენ, ნოვოკუზნეცსკშიც 6 ითამაშებსო. ამ და სხვა საკითხებზე რუსეთის ნაკრებისა და „ენისეის“ მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ პერვუხინს გავესაუბრეთ

— როდის იწყება ჩემპიონატი და რა თამაშებს გამართავთ თავდაპირველად?

— რეგიონალური შეჯიბრება ალმაათაში დაიწყება და პირველი თამაში სწორედ მის გუნდთან ექნება „ენისეის“ 22-23 მაისს, ხოლო ჩემპიონატის პირველი მატჩი დერბი — „ენისეისა“ და „კრასნი-იარს“ შორის 8 ივნისს ჩატარდება.

— როგორ ფიქრობთ, გაიმარჯვებთ?

— „იართან“ ყოველთვის გვიჭირს მოგება, თან მათ ახალი ქართველი ლეგიონერები ჰყავთ, რომელთა თამაშიც არ მინახავს და აქედან გამომდინარე, ვერაფერს გეტყვით.

— „ენისეის“ უფრო ძლიერი ქართველები ჰყავს თუ „იარს“?

— ჩვენ საკმაოდ კარგი მორაგბეები გვყავს რატი ურუშაძით დაწყებული. დიდ იმედებს ვამყარებთ პირველხაზელებზე ნინიძესა და სუჯაშვილზე, თუმცა ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან და ვინც უკეთესი იქნება, ის დაიმკვიდრებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში.

— რუსეთის სხვა გუნდებსაც ხომ არ ემატებათ ქართველი ლეგიონერები?

— ნოვოკუზნეცკს შეემატება 6 ქართველი. ასე რომ, თამამად შეგიძლიათ დაწეროთ, რომ ციმბირი ქართველებმა დაიპყრეს.

— „ენისეის“ რომელ ხაზში უჭირს?

— ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ დამრტყმელის პრობლემა გვაქვს.

— შეძლებთ ჩემპიონობას?

— რა თქმა უნდა, მე მყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებიც ბუნებით ლიდერები არიან და შეუძლიათ თამაშის მოგება. მათ შორის ქართველიც არის.

ნინო ლეჟავა

მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსებმა გავარდნა არ გადადეს

E ჯგუფი

ჩეხეთი 6:2 კანადა
2:0 1:1 3:1

ლატვია 5:2 ავსტრია
0:1 3:1 2:0

ჩეხეთი	5	0	0	19:5	10
კანადა	3	1	1	15:10	7
ლატვია	1	2	2	8:9	4
გერმანია	1	1	2	6:13	3
შვეიცარია	0	2	0	7:11	2
ავსტრია	0	2	3	9:16	2

F ჯგუფი

ფინეთი 4:0 რუსეთი
0:0 1:0 3:0

სლოვაკეთი 0:0 ფინეთი

სლოვაკეთი	3	2	0	18:5	8
შვედეთი	3	2	0	12:5	8
ფინეთი	3	1	1	17:8	7
აშშ	1	1	2	9:12	3
რუსეთი	1	0	4	10:14	2
დანია	0	0	4	3:25	0

მე-13-16 ადგილებისთვის

ყაზახეთი 2:2 უკრაინა
1:1 0:0 1:1

რუსეთის ნაკრებმა დღეს გასაკეთებელი საქმე სახვალიოდ აღარ გადადო და ფინეთთანვე დამარცხდა. იცით, რომ მოგების შემთხვევაში ვიქტორ ტიხონოვის გუნდს კიდევ რჩებოდა პლეი ოფში გასვლის მინიმალური შანსი, ოღონდ საამისოდ დანიას აშშ-სთვის უნდა მოეგო მომდევნო დღეს. ცხადია, რუსებმა იცოდნენ, რომ დანიელები მოგებას ვერ შეძლებდნენ და თავი აღარ შეიწუხეს, თავადვე გადაწყვიტეს პრობლემა.

რუსთა აგონია 35-ე წუთამდე გაგრძელდა, სანამ ანგარიში 0:0 იყო. როცა იუკა ჰენტუნენი მეკარესთან პირისპირ გავიდა და შანსიც ბრწყინვალედ გამოიყენა, ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეს და ბოლო მესამედში კიდევ სამჯერ გაუშვეს.

ამრიგად, F ჯგუფში საპლეიოფო კვარტეტი გაირკვა და ადგილებიც განაწილდა, ფინეთი მესამეა, ვინაიდან ამერიკელები მათ ვეღარ დაეწევიან, ხოლო პირველი და მეორე ადგილები სლოვაკებმა და შვედებმა გაითამაშეს. მათი ჯაჭი საკმაოდ შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა, ეგაა მთავარი, ანუ გოლები აკლდა და ეს მეტწილად მეკარეების იან ლაშაკისა და ევროპაში ყველაზე ნიჭიერ მეკარედ მიჩნეულ, 22 წლის შვედი ჰენრიკ ლუნდკვისტის დამსახურებაა. ფრემ უფრო სლოვაკები გაახარა, რადგან გოლების თანაფარდობით პირველი ადგილი მათ ერგოთ.

E ჯგუფში პირველი ადგილისათვის თამაში უხვგოლიანი გამოდგა. ჩეხეთი — კანადის მატჩს ისედაც უდიდესი ინტერესით ელოდნენ, რადგან პრაღის ჯგუფში ეს გრანდების ერთადერთი მატჩი იყო. თუმც თამაშმა ცხადყო, რომ ყინულზე მხოლოდ ერთი გრანდი იმყოფებოდა. მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან იგდეს ხელთ ინიციატივა და მე-7 წუთზე უკვე 2:0 დაწინაურდნენ ირჟი დოპიტასა და იოზეფ ბერანეკის გოლებით. მეორე მესამედში მეტოქეებმა გოლები გაცვალეს და ერთი მასობრივი შეხლა-შემოხლაც მოაწყვეს, ხოლო ბოლო ოცწუთეულში კვლავ ჩეხები ბატონობდნენ. მათმა ბერნეკმა დუბლიც გაიფორმა.

„მინდა, მეტოქეს დიდი გამარჯვება მივულოცო. გაოცებული ვარ. ვერ გამიგია, ასეთი მხურვალე მხარდაჭერის ფონზე როგორ შეძლეს ჩეხებმა ემოციების მოთოკვა და ესოდენ გააზრებული ჰოკეის ჩვენება — თქვა მატჩის შემდეგ კანადელთა თავკაცმა მაიკ ბებკოკმა.

ამ მატჩმა ორი საპლეიოფო წყვილიც გამოავლინა. E ჯგუფის გამარჯვებულში ჩეხეთი აშშ-ს დაეჯახება, ხოლო კანადა — ფინეთს.

ორშაბათს კიდევ ერთი საპლეიოფო საგზურის მფლობელის ვინაობა გაირკვა. ლატვიის ნაკრებმა სწორედ გადამწყვეტ მატჩში გამოავლინა თავისი შემტევი პოტენციალი და ავსტრიას დამსახურებულად მოუგო. ბალტიისპირელთა კარში კვლავ უბერებელი არტურს ირბე ბრწყინავდა, ხოლო შეტევაში „ნეშვილის“ ფორვარდმა სერგეი ჟოლტოკსმა და ალექსანდრ კერჩსმა იყოჩაღეს. ორივემ გოლი და პასი მიითვალა. მატჩის შემდეგ კი მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ფანების მხარდაჭერამ ამ გამარჯვებაში უდიდესი როლი ითამაშა. მართლაცდა 3 000 ლატვიელმა ქომაგმა იმდენი უსტვინა და იღრიალა, რომ გუნდს თავი შინ ეგონა.

ამასობაში უმაღლესი დივიზიონიდან ორი გავარდნილის ვინაობაც გაცხადდა. ყოფილი „ბოძმე რესპუბლიკები“ ყაზახეთი და უკრაინა დაზავდნენ და გავარდნას გადაურჩნენ. ასე რომ, სამშაბათის იაპონია — საფრანგეთის მატჩმა აზრი დაკარგა — ორივე გამოეთხოვა უმაღლეს დივიზიონს. მომდევნო სეზონში მათ ბელარუსი და სლოვენია შეცვლიან.

ბომბარდირები: რუჩინსკი (ჩეხეთი) 9(5+4), იაგრი (ჩეხეთი) 8(4+4), დემიტრა (სლოვაკეთი) 7(3+4), პელტონენი (სლოვაკეთი) 7(3+4), პროსპალი (ჩეხეთი) 7(34), ვანეკი (ავსტრია) 7(2+5), დვორჟაკი (ჩეხეთი) 7(0+7)

კანადელების და ჩეხების შეხლა-შემოხლაში თვით დიდი ჩეხი იაროსლავ იაგრიც ჩაერია

REUTERS პრაღიდან

კალგარის კარგი დარი დაუდგა

3 მაისი

დასავლეთი

კალგარი 4:2 დეტროიტი

კალგარი 1:0 დეტროიტი
0:0 0:0 0:0 1:0

1:0 ჟელინა (80)

მორჩა! „კალგარისთან“ გადამწყვეტ მატჩში მარცხის შემდეგ დეტროიტელ პროფესიონალებს შეუძლიათ, კარიერის დასრულებაზე იფიქრონ... უკვე მეორე წელია, „წითელფრთიანთა“ ხანდაზმული გუნდი ფარ-ხმალს ყრის ახალგაზრდა, დამწყები და აგრესიული მეტოქის წინაშე. ისევე როგორც შარშან „ანაჰაიმთან“, ბებრებმა ვერც წლეულს გაუძლეს მეტოქის დამქანცველ პრესინგს — მათმა დახვეწილმა თამაშმაც მეტოქის კლანჭებში მომხიბლაობა დაკარგა.

წარმოუდგენელია, მაგრამ ბოლო ორ მატჩში აიზერმანის (სამწუხაროდ, მან მეექვსე თამაში გამოტოვა თვალის ტრავმის გამო), ჰალის, შენაჰანისა და სხვა მეგავარსკვლავების პატრონი გუნდის შეტევამ ერთხელაც ვერ დალაშქრა „კალგარის“ სასწაულმოქმედი გოლკიპერის კარი და ეს მხოლოდ მიიკა კიპრუსოფის საუცხოო თამაშის ბრალი როდია. მთელმა „კალგარიმ“ უმაღლეს დონეზე ჩაატარა ეს მატჩები, თითო-თითო გოლით გამოჭვლიჯა მეტოქეს ორი მოგება და პლეი ოფის მთავარი სენსაცია გამოჭედა. მარტინ ჟელინას კი ალბათ სამუდამოდ შერჩება ახალი თიკუნი — „THE ELIMINATOR“ ანუ „გამგდები“. სწორედ ჟელინამ გაუტანა „ვანკუვერს“ გადამწყვეტი გოლი პირველი რაუნდის სერიის ბოლო მატჩის ოვერტაიმში, ახლაც მან მრისხანე მეტოქე იმავე ილეთით გააგდო. პირველი ოვერტაიმის ბოლო წუთზე ჯერომ იგინლას დარტყმის შემდეგ შაიბა ჟელინას მიუვიდა და კართან ახლოს მდგარმა კალგრელმაც ცარიელ კუთხეში შეაგდო.

15-წლიანი საპლეიოფო უიღბლობის შემდეგ — „ალები“ მეორე წრეში ვერ გადიოდნენ — „კალგარიმ“ ნავსი გატეხა.

„ეს ძნელი არაა. ყოველთვის ვამბობთ, რომ ბევრი უნდა დავარტყათ და დამატებაზე ვიხეიროთ. თამაშშიც სწორედ ამას ვაკეთებთ“ — თქვა მატჩის მთავარმა გმირმა ჟელინამ.

სამველ ღარიბიანი

„კალგარი“ „დეტროიტის“ დამარცხებას ხარობს

REUTERS კალგარიდან

ხსოვნის საათი

სან ხოსეში ავღანეთში დაღუპული რეინჯერის, პეტ ტილმანის ხსოვნის საათი ჩატარდა. კარგმა ფეხბურთელმა „არიზონაში“ თამაშსა და მილიონებზე უარი თქვა და რიგითად წავიდა სამომრად. შეხვედრაზე გმირის მამამ პეტ ტილმან-უფროსმა და კალიფორნიის პირველმა ლედიმ, მარია შრაივერმა ილაპარაკეს. პეტ ტილმანი მართლაც გამორჩეული ვაჟკაცი იყო.



REUTERS სან ხოსედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბრის მოლოდინი

აჰ, როგორ ელიან ჩინელები შანხაის პირველ საფორმულე რბოლას, რომელიც 26 სექტემბერს გაიმართება. ამასობაში კი შანხაიშივე საფორმულე გამოფენები ეწყობა. ესეც „მაკლარენი“, ბიჭს კი აინტერესებს.



REUTERS შანხაიდან

რივერ პლეიტი სტუმრად

ლათინურ ამერიკაში ლიბერტადორესის თასის თამაშებია გახურებული. მექსიკის ქალაქ ტორეონში იქაურ „სანტოსთან“ სათამაშოდ კარგ ხასიათზე ჩასულა არგენტინული „რივერ პლეიტი“. ფერნანდო კავენაგი გუნდის ერთ მუშაკს ეღლაბუცება, ედუარდო ტიოზო კი ქუჩას გადასცქერის სასტუმროს აივნიდან. ეგებ გოგოებსაც ათვალიერებს.

REUTERS ტორეონიდან

REUTERS ნიუ ორლეანიდან

შესვენების ხალხი

უილიამ ჰანგის გოგოების შოუ ერთი ხმაურით ჩაერთო ნბა-ს პლეიოფში. ნიუ ორლეანში, სადაც ერთმანეთი კინაღამ დახოცეს იქაურმა „ჰორნეტსმა“ და „მაიამი ჰითმა“, ჰანგის გოგოებმა შესვენებაზე იცეკვეს და იმღერეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge